კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ანა ღამბაშიძე

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების პრიორიტეტები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებთან

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშორომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ასოც. პროფ. მამუკა თორია

თბილისი 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ-ს) წევრ ქვეყნებს შორის საგარეო-სავაჭრო კავშირების არსი, მახასიათებლები,ზრდის პერსპექტივები და ამის შედეგად, მათი ეკონომიკის მონაწილეობა და რასაკვირველია, მნიშვნელოვანი გავლენაც ეროვნულ ეკონომიკაზე. ხაზგასმითაა აღნიშნული ღია, ლიბერალური პოლიტიკის ადგილი და როლი მსოფლიო მეურნეობაში. დახასიათებულია ის საექსპორტო პოტენციალი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ფლობს და რომლითაცაა შესაძლებელი საკმაოდ დიდი სარგებლის მიღება.

ნაშრომის პირველ თავში - საგარეო სავაჭრო ურთიერთობების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, განხილულია საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არსი და მისი გავლენა ეკონომიკაზე, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ასევე საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მეთოდოლოგიური ასპექტები.

მეორე თავში - საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციები, დახასიათებულია დსთ, ასევე, გაანალიზებულია დსთ-ს ქვეყნებსა და საქართველოს შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები.

მესამე თავში - შეფასებულია საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში განზოგადებულია კვლევის შედეგები.

ANA GHAMBASHIDZE

Georgia's trade relations priorities with the Commonwealth of Independent States (CIS)

ANNOTATION

This Master's Work covers foreign and trade relations between Georgia and Commonwealth of Independent States (CIS), their characteristics, perspectives of growth, as a result of their economic participation and, of course, a significant influence on the national economy. It is underlined place of the open, liberal policy and its role in the world economy. The export potential of our country, which gives opportunity to get great benefit is characterized.

In the first Charter of this Work - Theoretical and Methodological Basis for Foreign Trade Relations Research, the essence of foreign trade relations and its impact on the economy, the main directions of international trade development, as well as the methodological aspects of foreign economic relations of Georgia are considered.

In the second Charter of this Work - Tendencies of Development of Foreign Trade and Economical Relations between Georgia and Commonwealth of Independent States (CIS), the Commonwealth of Independent States is characterized and trade and economical relations between Georgia and CIS are analyzed.

In the third Charter of this Work the perspectives of development of foreign economical relations between Georgia and CIS are evaluated.

In the final part of the Work the results of the research are summarizes.

შინაარსი

შესავალი ---------- 5

თავი I. სავაჭრო ურთიერთობების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები ---------- 9

1.1 საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არსი და მისი გავლენა ეკონომიკაზე -------- 9

1.2 საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მიმართულებები ---------- 15

1.3 საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების მეთოდოლოგიური ასპექტები ---------- 25

თავი II. საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციები ---------- 29

2.1 დსთ და მისი ეკონომიკური სივრცე ---------- 29

2.2 დსთ-ს ქვეყნების გეოეკონომიკური დახასიათება ---------- 35

2.3 სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი დსთ-ს ქვეყნებსა და საქართველოს შორის ---------- 40

თავი III. საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები ---------- 47

დასკვნა ---------- 57

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა ---------- 61

შესავალი

თემის აქტუალობა. მუდმივად ცვალებად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გლობალური ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხსა და მიმართულებას, რომლის სრულყოფილი განვითარებისკენაც იღწვიან ისინი, ახორციელებენ სხვადასხვა სახის ქმედებებსა და არ იშურებენ ძალისხმევას, ამ ყველაფრის ფონზე კი ცდილობენ საკუთარი ეკონომიკის ხელშეწყობასა და გაფართოებას.

თანამედროვე პერიოდში, საგარეო-ეკონომიკურმა ურიერთობებმა შეიძინეს არსებითი მნიშვნელობა, რომელთა გარეშეც, ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა სახელმწიფოების მდგრადი განვითარება.

აუცილებელია ეკონომიკური ლიბერალიზაციის შესაბამისი პოლიტიკის გატარება, მასზე სწორი და უკეთესი არჩევანი არც არსებობს, თუმცა, მხოლოდ ის არ არის საკმარისი, მარტო ლიბერალიზაცია, ვერ განაპირობებს ისეთი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვ-ნებს.

მიუხედავად იმის, რომ საქართველოსათვის სტრატეგიულ სავაჭრო პარტნიორს ევროკავშირი წარმოადგენს და ჩვენი უმთავრესი მიზანი სწორედ ევროკავშირში ინტეგრაციაა, აუცილებელია საგარეო ვაჭრობის მიმართულებების დივერსიფიკაცია. მაქსიმალურად ეფექტიანად გამოვიყენოთ უკვე არსებული სავაჭრო ურთიერთობები დსთ-ს ქვეყნებთან, ახალი სავაჭრო მიმართულებები განვავითაროთ ჩინეთისა და აზიის ბაზრის გათვალისწინებით. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ამჟამად საქართველოს ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ დსთ-ს ქვეყნებზე მოდის, ისინი ტერიტორიულადაც ახლოს არიან განლაგებულნი და ამ ბაზრებზე დამკვიდრების კარგი შესაძლებლობები არსებობს, მიგვაჩნია, რომ დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხების კვლევას არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რითაც დასტურდება კიდეც ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობა.

კვლევის მიზანი. წარმოდგენილი სამაგისრტრო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს გავაანალიზოთ და შევაფასოთ საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მდგომარეობა ბოლო წლების განმავლობაში. გამოვავლინოთ ის ფაქტორები და გარემოებები, რომლების ხელს უწყობენ ან უშლიან ამ მიმართულებებით განვითარებას.

დასმული ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ დასმული იქნა შემდეგი ამოცანები:

- საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მდგომარეობის შეფასება;
- საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ანალიზი და მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;
- დსთ-ი ქვეყნების გეოეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;
- დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი;
- დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების შემდგომი განვითარების შესაძლებლობების ანალიზი.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომის შერულებისას ჩვენ მიერ გამოყენეული იქნა როგორც უცხოური, ასევე, ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომები.

კვლევის პროცესში ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა კვლევის დიალქტიკური მეთოდი, რომლის თანახმადაც მოვლენები, პროცესები განიხილებიან არა იზოლირებულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, არამედ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში. ასევე, კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. კვლევის პროცესში ფართოდ იქნა გამოყენეული სტატისტიკური მეთოდები, ინდუქცია და დედუქცია, დიალექტური მეთოდი, კვლევის მეცნიერული აბსტრაქციის, პოზიტიურ-ნორმატიული და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა. ეკონომიკურ ლიტერატურაში საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კვლევას, ბოლო წლებში,

განსაკუთრებული ადგილი უკავია, აღნიშნული პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე.

ჩვენ მიერ სამაგისტრო ნაშრომის შერულებისას გამოვიყენეთ : ა. აბრალავას, ე. ბართაშვილის, ვ. გურგენიძის, ე. ეტერიას, ვ. ლობჟანიძის, მ. თორიას, ზ. მარშანიას, ი. მესხიას, ავ. ოქროცვარიძის, მ. სხირტლაძის, რ. ფუტკარაძის, გ. ჯოლიას, შ. ვეშაპიძის და სხვათა ნაშრომები და სამეცნიერო პუბლიკაციები.

კვლევის სიხლეები. სამაგისტრო ნაშრომის შერულებისას დასმული და გადაჭრილი იქნა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთიერთობებთან.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის განსხვავება წინა კვლევებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო, უახლესი სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით:

- შესწავლილი და გაანალიზებულია საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არსი და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე;

- გაანალიზებული და შეფასებული საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მიმართულებები;

- შესწავლილი და გაანალიზებული დსთ-ს ცალკეული ქვეყნების გეოეკონომიკური მდგომარეობა;

- გაანალიზებული და შეფასებული დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ტენდენციები;

- გაანალიზებულია დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივები და პრიორიტეტები.

სამაგისტრო ნაშრომის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსი. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზა, ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები. გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის პუბლიკაციები როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე.

წარმოადგენილი სამაგისტრო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 63 გვერდისაგან. იგი მოიცავს შესავალს, სამ თავს, ექვს ქვეთავს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

თავი 1. სავაჭრო ურთიერთობების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არსი და მისი გავლენა ეკონომიკაზე

მსოფლიო ბაზარზე ადგილის დამკვიდრება და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის საგარო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე.

თანამედროვე პერიოდში, გლობალიზაციის პროცესის ინტენსიური განვითარების პირობებში, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს და შესაბამისად, მის გავლენას ყოველი ცალკეული ქვეყნისა და მსოფლიო ეკონომიკაზე. ამჟამად, ფაქტობრივად არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელიც არ არის დაკავშირებული დანარჩენ სამყაროსთან ეკონომიკური თვალსაზრისით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საერთაშორისო ეკონომიკის პრობლემების კვლევას განსაკუთრებული ადგილი უკავია. პროფ. შ. ვეშაპიძე აღნიშნავს, საერთაშორისო ეკონომიკა გულისხმობს გლობალური ეკონომიკისა და საგარეო - ეკონომიკური ურთიერთობების სინთეზს, რომ მისი განვითარების ძირითადი ზამბარა - ესაა ორი უდიდესი ინსტიტუტის ბრძოლა, რომელიც კაცობრიობას შეუქმნია: სახელმწიფო და ბაზარი [შ. ვეშაპიძე,2003,გვ 121]. მსგავსი პროცესების მიმდინარეობისას კი ყალიბდება მთავარი მიზანი, რისთვისაც იღწვიან ქვეყნები: ეს არის მათი ეკონომიკის ზრდა.

თანამედროვე პერიოდში, მსოფლიო ეკონომიკა ნამდვილად არ არის მარტივი მექანიზმი, ამ დიდ გეოგრაფიულ ზონაში ჩართულია არა ერთი ქვეყანა, რომელთაც გააჩნიათ სხვებისაგან განსხვავებული ეკონომიკა; პოლიტიკა; კულტურა; ტრადიციები; ბუნებრივია მათი განვითარების დონეც არ იქნება ერთნაირი. ამ უკანასკნელის მიხედვით კი არსებობს შემდეგი კატეგორიის ქვეყნები: ძლიერი

ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები, რომლებიც გამოირჩევიან მრავალმხრივი განვითარებით; ქვეყნები, რომლებიც შუალედურ პოზიციას იკავებენ მათი ეკონომიკიდან გამომდინარე და ისეთი ქვეყნები, რომელთა განვითარება მინიმალურია და ხასიათდებიან მცირე ეკონომიკით. თითოეული ამ ქვეყნის როლი, საერთაშორისო ურთიერთობებში სხვადასხვაგვარია ანუ მათ მონაწილეობას ამ პროცესებში განაპირობებს ძირითადად მათი ეკონომიკური პოტენციალი.

მსოფლიო ეკონომიკა, ეს არის სხვადასხვა ინსტიტუტების ერთობლიობა, სადაც მიმდინარეობს გლობალური მნიშვნელობის პროცესები, ყოველი ცალკეული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის მონაწილეობას კი ამ კომპლექსურ პროცესში განაპირობებს სწორედ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებულ შეხედულებას, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები არის ცალკეულ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის დამყარებული სავაჭრო, საწარმოო, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, სავალუტო საინფორმაციო და სამეცნიერ-ტექნიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა [დ. ქათამაძე,2008,გვ12], რომელიც ფუნქციონირებს თავისუფალი ეკონომიკის მექანიზმების გათვალისწინებით.

თვალთახედვიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები გამოირჩევიან თავიანთი საზღვრების უფრო მეტად გახსნილობით, რის შედეგადაც შემცირებულია სავაჭრო ბარიერები, თუმცა სარგებელი, რომელიც გამოწვეულია ვაჭრობით, რასაკვირველია არ არის თანაბარი. სწორედ საზღვრების გახსნამ და შრომის საერთაშორისო დანაწილებამ დასაბამი მისცა ბიზნესის გაფართოებას, ამ ყველაფერმა განაპირობა აქცენტის გადატანა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე. დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საგარეო კავშირები ქვეყნის განვითარებისათვის.

გლობალიზაციის პერიოდში, საერთაშორისო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა გამოიწვია ისეთი ახლებული მოთხოვნების წარმოქმნა, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი მიდგომა და საბოლოო ჯამში კი მართვა ესაჭიროება. ამის

საფუძველზე ყოველი ცალკეული ქვეყანა ცდილობს საკუთარი საზღვრების გადალახვას, მოწინავე ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას, თითოეული მათგანი ატარებს სხვადასხვა სახის ეკონომიკურ რეფორმას, რათა უფრო მეტად განვითარდნენ და ჯერ დაიკავონ თავიანთი ადგილი მსოფლიო ბაზარზე, შემდგომში კი სისტემატურად შეინარჩუნონ ის კონკურენტული უპირატესობა, რითაც აღემატებიან სხვა დანარჩენებს.

ეჭვგარეშეა ის,რომ ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა ქვეყანას არ ძალუძს მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში. აქედან გამომდინარე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მისი ერთ-ერთი ტრადიციული ფორმა - საგარეო ვაჭრობა მაშტაბურ ხასიათს იძენს, რომელიც თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს გადამწყვეტ დადებით ფაქტორად განვითარების პროცესში.

ჯ. საკსის განმარტებით: ,,მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე. ჯერ არც ერთ ქვეყანას არ შეუქმნია ჯანსაღი ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკური სისტემისაგან დამოუკიდებლად'' [ლ.ძებისაური, 2012, გვ 14]. ეს მოსაზრება კი ნამდვილად არ არის აზრს მოკლებული და სრულებით ვეთანხმებით, ვინაიდან ნებისმიერ სახელწმიფოს არ აქვს იმის რესურსი, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს თავისი მოსახლეობის განსხვავებული მოთხოვნები, ამ შემთხვევაში კი გამოსავალი არის სწორედ საგარეო ვაჭრობა, რომლის მიმართებიდაც არსებობს ორი განსხვავებული მიდგომა: პირველი, ესაა - ღია, თავისუფალი ვაჭრობა, ხოლო მეორე - შიდა ბაზრის იმპორტისაგან დაცვის პოლიტიკა ანუ პროტექციონიზმი, როდესაც ხდება საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება და კონტროლი, რათა ეროვნულ ეკონომიკას არ მიადგეს ზიანი და დაცული იქნეს ქვეყანა გარე საფრთხეებისგან.

საგარეო ვაჭრობა კი სხვა არაფერია, თუ არა საქონლისა და მომსახურების, ნებისმიერი სახის კაპიტალის გაცვლა ორ ქვეყანას შორის, ეს გაცვლა კი ხორციელდება ექსპორტ-იმპორტის გზით, რომლის შედეგადაც მიღებული სარგებელი ფასდაუდებელია ნებისმიერი ქვეყნისათვის.

არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც საქონლისა და მომსახურების წარმოების კონკრეტულ დარგში არ გააჩნდეს სხვებისაგან განსხვავებული უნარი და უპირატესობა, ეს კი აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ ქვეყანა განვითარდეს ეკონომიკური თვალსაზრისით.

საგარეო ვაჭრობის დადებით ეფექტთან დაკავშირებით სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც: საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ეფექტიანობა შესაძლოა განისაზღვროს საექსპორტოდ განკუთვნილ პროდუქციაზე გაწეული შრომის დანახარჯების დონის შედარებით, იმ პროდუქტის წარმოებაზე გაწეულ ანალოგიურ დანახარჯებთან, რომელიც შესაძლოა ჩანაცვლდეს იმპორტით. ცხადია, თუ დანახარჯები, რომელიც აუცილებელია საზღვარგარეთ გარკვეული რაოდენობის საქონლის შესაძენად, ნაკლებია ვიდრე იმავე საქონლის ქვეყანაში წარმოებისათვის საჭირო ხარჯები, მიიღწევა გარკვეული ეკონომიკური ეფექტი [ა. ოქროცვარიძე, 2009, გვ. 5].

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე მიუთითებს პროფ. გ. ჯოლია, რომელიც აღნიშნავს, რომ საგარეო - ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც ეყრდნობა შრომის საერთაშორისო დანაწილებას, იძლევა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ ის პროდუქცია დაამზადოს, რომელიც მოცემულ ეტაპზე მისთვის უფრო ხელსაყრელია და ამით საკუთარი ბუნებრივი, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები მნიშვნელოვნად დაზოგოს [გ.ჯოლია,2015, გვ73].

არსებობს იმის შესაძლებლობაც, რომ უცხო ბაზარზე ქვეყანამ შეიძინოს არა მარტო ის საქონელი და მომსახურება, რომელიც ნაკლებად იქნება წარმოებული თავის ქვეყანაში გარკვეული ბუნებრივი პირობების გამო, არამედ ისეთიც, რომელიც უფრო იაფია მსოფლიო ბაზარზე, ვიდრე ეროვნულ საზღვრებში მისი წარმოება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპორტი და იმპორტი მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ეკონომიკისათვის (ბიზნესისათვის), არამედ მნიშვნელოვანია ინდივი-დუალური მომხმარებლისთვისაც, ვინაიდან ამ უკანასკნლეს შეუძლია ისარგებლოს

ისეთი პროდუქციით, რომელიც არ არის წარმოებული ადგილობრივად, მაგრამ ხელმისაწვდომია ეროვნულ ბაზარზე იმპორტის საშუალებით. ასევე, ბიზნეს საქმიანობა, რომელიც უკვე აღარ თავსდება კონკრეტული ქვეყნის ჩარჩოებში და მოიცავს მთელ მსოფლიოს, ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გლობალურ ინსტიტუტებს, რომელთაგანაც გამოიყოფა: მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია; საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. ეს ინსტიტუტები არსებობს იმისათვის, რომ გაკონტროლდეს მთლიანად ბიზნესი და საჭიროების შემთხვევაში დაიცვან და დახმარება აღმოუჩინონ ქვეყნებს. მაგალითად, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის გავლენის სფერო არ არის მცირე, მისი ძირითადი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ვაჭრობა გახადოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, მან წვლილი შეიტანა საერთაშორისო ვაჭრობის ბარიერების შემცირებაში და უფრო ფართო გასაქანი მისცა გლობალურ ბიზნესს. აქ კი გამოიკვეთა ყოველი ცალკეული ქვეყნისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების შემთხვევაში ის უპირატესობები და სარგებელი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მათგანი.

საბოლოო ჯამში კი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მისი ძირითადი ფორმა - საგარეო ვაჭრობა არის აუცილებელი გარანტი იმისა, რომ ქვეყანა განვითარდება და მიაღწევს სტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობას. საერთაშორისო ეკონომიკა კი არის ის მრავალფეროვანი, სხვადასხვაგვარი ეკონომიკურ ურთიერთობები ქვეყნებს შორის, რომლის საფუძველზეც ხდება გლობალურ ეკონომიკაში მათი ინტეგრირება და ამის საფუძველზე ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ქვეყანა, უცხოეთის ქვეყნებთან საგარეო-სავაჭრო ურთიერთობაში ჩართულია უხსოვარი დროიდან. ეს განპირობებულია იმ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, რომელიც ბუნებამ გვარგუნა. არსებობს სხვადასხვა სახის მეცნიერული ნაშრომები, ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები,

მოგზაურთა დაკვირვებები - ისინი მიუთითებენ საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაზე დანარჩენ ქვეყნებთან.

დღევანდელ მსოფლიოში საქართველო დგას დიდი გამოწვევების წინაშე, ეს არის პერიოდი, როდესაც ქვეყნები ავითარებენ ისეთ დარგებს, რომლებიც ექსპორტზეა ორიენტირებული, რაც უდაოდ ვალუტის შემოსავლის წყაროა. საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ ქვეყანა შეძლებს პოტენციური კლიენტების რაოდენობის გაზრდას, შესაბამისად გაიზრდება შემოსავალიც. ბიზნეს ლიდერები, რომლებიც ჩართულნი არიან გლობალურ ბიზნესში, უფრო სწრაფად ვითარდებიან, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. აქედან გამომდინარე დასაქმებაც იზრდება, მოსახლეობის კეთილდღეობის დონე იზრდება ანუ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე იზრდება, რაც უფრო მჭიდრო იქნება ჩვენი ურთიერთობები. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები გავაღრმავოთ სხვა ქვეყნებთან. ეროვნული ეკონომიკისათვის ეს არის გადამწყვეტი ფაქტორი, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ უცხოურ ბაზარზე გასვლას, მაშინ გვექნება პერსპექტივა იმისა, რომ განვითარდეთ და ჩამოვყალიბდეთ ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნად.

საექსპორტო პოტენციალის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის საქართველო, რაც გვანიჭებს იმ კონკრეტულ უპირატესობას, რომელიც გამოგვარჩევს სხვებისგან, სწორედ ამიტომაა საჭირო ყურადღების გამახვილება მსგავს დარგებზე. კონკრეტული საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი სახით წარმოდგენა, ასორტიმენტის გაფართოება ანუ უფრო ფართო მასისათვის მიწოდება, თუნდაც ახალი საექსპორტო პროდუქტის შექნა - ეს ყოველივე წარმოადგენს ექსპორტის ძირითად მიზნებს, რომლებიც შეუძლებელია განხორციელდეს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. ასეთ ვითარებაში უმჯობესია ყურადღების გამახვილება უფრო განვითარებულ ქვეყნებზე, ვინაიდან უნდა მოვახდინოთ მათი მიღწევების, მათი გამოცდილების აღქმა, გააზრება და შემდგომ უკვე ჩვენ ქვეყანაში დანერგვა.

ამრიგად, საქართველოს მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობაში, რაც შეიძლება სწრაფად და ღრმად ინტეგრირება, ეს კი მიიღწევა სწორედ საგარეო ეკონომიკური უთიერთობებით. რაც უფრო ფართო იქნება კავშირები, მით მეტი სარგებელი ექნება ქვეყანას, რის შედეგადაც გაადვილდება შეღწევა და დამკვიდრება საერთაშორისო ბაზარზე.

1.2. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მიმართულებები

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებებსა და ტენდენციებს, რომელიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკასა და შესაბამისად, საერთაშორისო ეკონომიკაზე.

სახელმწიფოები, მოსახლეობა, ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორც გლობალური, ისე რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები - თითოეული მათგანი მონაწილეობს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში სხვადასხვა ფორმით: საფინანსო, საანგარიშსწორებო, პოლიტიკური, კულტურული, სავაჭრო - ეკონომიკური კავშირებით და სხვა. დღითიდღე მნიშვნელოვნად იზრდება ყოველი ქვეყნის ჩაბმა საერთაშორისო სავაჭრო პროცესებში, ამის საფუძველზე წარმოიქმნება არაერთი სარგებელი და ბუნებრივია, პრობლემებიც. სწორედ ისეთი საკითხების გადაჭრა, რომელიც დაკავშირებულია საგარეო ვაჭრობის კურსთან, დამოკიდებულია იმ განვითარების მიმართულებებზე, რომელსაც თავად სახელმწიფო აირჩევს. რაც შეეხება არჩევანს, ძირითადად არსებობს ორი გზა: თავისუფალი ან ნაკლებად თავისუფალი ანუ დახურული ეკონომიკა. თუ დავეყრდნობით იმ ფაქტს, რომ ბოლო პერიოდში ინტეგრაციულ პროცესებს უფრო ფართო გასაქანი მიეცა, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს მსოფლიო განვითარებისთვის და მისი საშუალებით იზრდება ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, აქ უდაოა ღია, თავისუფალი

ვაჭრობის უპირატესობა და მისი მიმართულებით გეზის აღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყანა განვითარდება შედარებით დაბალი ტემპებით. ეკონომისტთა ნაწილი იზიარებს ამ მოსაზრებას, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის შემთხვევაში ქვეყნები იმაზე ნაკლებს იღებენ, ვიდრე გასცემენ. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საგარეო ვაჭრობაში არსებულ მდგომარეობას რამდენად ერგება ყოველი ცალკეული ქვეყანა, ასევე, ვაჭრობის შედეგად მიღებული სარგებლის გამოყენება რამდენად ეფექტიანად ხდება.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის, განვითა-რებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები საჭიროებენ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს მაღალი განვითარების მქონე ქვეყნებთან, ამის აუცილებლობა კი მზარდი ტექნოლოგიური დამოკიდებულებით არის განპირობებული სწორედ მსგავსი ტიპის ქვეყნებთან. უცხოური ინვესტიციების მოზიდვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომლის საფუძველზეც ხდება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ინტეგრირებისათვის ხელშეწყობა გლობალურ ეკონომიკაში, რაც იწვევს ეკონომიკური განვითარების ამაღლებას.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ადგილი და როლი დიდია საგარეო ვაჭრობაში, ვინაიდან ისინი არეგულირებენ და აუმჯობესებენ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. გასაკვირი არ არის, რომ ისინი ეყრდნობიან ღია, თავისუფალი ვაჭრობის მიმართულებებს და ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში. უფრო მეტიც, დღეს ასეთი ორგანიზაციების რაოდენობა საკმაოდ გაზრდილია, რაც მიგვანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მათ არსებობას მსოფლიო ბიზნესისათვის.

ეკონომიკური საზღვრების გახსნა, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სავაჭრო ბარიერების შემცირება - ეს ის მიზნებია, რომელთა შესრულებასაც ემსახურება ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია. მათ უფლება აქვთ გარკვეული დოზით ჩაერიონ და მონაწილეობა მიიღონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობის საწყისი თეორიები და დებულებები დიდწილად დაკავშირებულია საერთაშორისო ვაჭრობასთან, რომლის მნიშვნელობისა, თუნდაც მისი საფუძვლების კვლევა, ნამდვილად არ არის ახალი ფენომენი. ის ჩაისახა შორეულ წარსულში და იქიდან მოყოლებული ხდებოდა მასთან დაკავშირებული ასპექტების გამოკვლევა და ეს მიმდინარეობს თანამედროვე პერიოდშიც. თავდაპირველად, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების საჭიროებას და მის თეორიულ დასაბუთებას ცდილობდნენ მერკანტილისტები.

მერკანტილიზმი (მე-15 მე- 17 სს) - არის ეკონომიკური თეორია, დაფუძნებული პრინციპებზე,რომლის თანახმად სიმდრიდრის წყაროს წარმოადგენს ქვეყნის შიგნით ფულადი კაპიტალის დაგროვება საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსის მეშვეობით [ი. მესხია,2011,გვ 43]. ფულად კაპიტალში , ძირითადად მოიაზრება: ოქრო და ვერცხლი და მათი აზრით, მთავარი ამოცანა მდგომარეობს სწორედ ოქროს მარაგების გაზრდაში, რომელთა შემოდინება არის საერთაშორისო ვაჭრობის მთავარი დანიშნულება.

მერკანტილისტური პოლიტიკის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილი იყო პროტექციონისტული ტარიფები სამრეწველო საქონლის იმპორტზე. ეს კი გულისხმობდა ამ სფეროში მკაცრი კონტროლის დაწესებას, იმპორტი იზღუდებოდა, ხოლოს ექსპორტის წახალისება, სტიმულირება ხდებოდა.

არსებობდა ორი სახის მერკანტილიზმი: ადრინდელი და გვიანდელი. პირველ შემთხევაში ფულადი ბალანსი იყო მთავარი. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნება, თუ შემცირდება იმპორტი და გაიზრდება ექსპორტი. რაც შეეხება გვიანდელ მერკანტილიზმს, მათ აუცილებლად მიაჩნდათ ქვეყანაში ფულის უფრო მეტი რაოდენობით შემოდინება, ვიდრე გადინება, ეს კი უზრუნველყოფდა სიმდიდრის გაზრდას.

ბუნებრივია, რომ საგარეო ვაჭრობას მნიშვნელოვანდ აფერხებდა მერკანტი-ლისტების მიერ იმპორტის მიმართ დამოკიდებულება, რომელიც გულისხმობდა მის ცალმხრივ შეზღუდვას. ამ ყველაფერმა კი დასაბამი მისცა ახალი თეორიების ჩამოყალიბებას.

ფიზიოკრატები - იყვნენ პირველები, რომლებმაც წარმოების სფეროს კვლევას ჩაუყარეს საფუძველი. მათთვის სიმდიდრის წყაროს წარმოადგენდა მხოლოდ სოფლის მეურნეობა, რომელზეც იყო გადატანილი მთელი ყურადღება. აქედან გამომდინარე კვლევის სფერო იყო მცირე, მაგრამ დიდია მათი დამსახურება წარმოებაში, რომელიც სამართლიანად ითვლება სიმდიდრის დაგროვების წყაროდ. ამის შემდეგ კი უფრო საფუძვლიანად და სიღრმისეულად ჩატარდა საგარეო-ეკონომიკური თანამშრომლობის კვლევები.

მნიშვნელოვანია აბსოლუტური უპირატესობის თეორიაზე ყურადღების გამახვილება, რომელიც ეკუთვნის ა. სმიტს. ამ თეორიის მიხედვითაც საჭირო იყო ისეთი პროდუქტის წარმოება, რომელიც კონკრეტულ ქვეყანას უფრო იაფი დაუჯდებოდა სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამგვარი პროდუქტების ექსპორტი სარგებლის მომტანი იქნებოდა ქვეყნისთვის, ხოლო რაც შეეხება იმპორტს, აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ისეთი პროდუქტის შემოტანაზე, რომლის წარმოებაც ძვირი ჯდებოდა მოცემულ ქვეყანაში. ადამ სმიტის ვარაუდით, თითქმის ყველა სახელმწიფოს ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საგარეო, თავისუფალი ვაჭრობის კურსი და ის უპირატესობას ანიჭებდა ისეთ ქვეყნებს, რომელთაც დიდი ფართობი ეკავათ და თვლიდა, რომ მრავალფეროვანი ბუნებრივი და კლიმატური რესურსების გამო აქვთ იმის პოტენციალი, რომ უფრო სრულყოფილად უზრუნველყონ ეკონომიკური მდგრადობა. თუმცა ეს მოსაზრება, ყველა მეცნიერს არ მიაჩნდა ბოლომდე სრულყოფილად და მათ არგუმენტად მოჰყავდათ ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მცირე ფართობის მქონე ქვეყნისათვის, სრულებით დასაშვებია მომგებიანი იყოს მათი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, დამახასიათებელი ის სპეციფიკური ბუნებრივი და კლიმატური პირობები, რომლითაც გამოირჩევიან სხვებისგან.

დ. რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორიის თანახმად: გლობალური ეფექტიანობის სარგებელი, შესაძლოა ისევ ვაჭრობისგან იქნას მიღებული, თუ ქვეყანა სპეციალიზდება იმ მიმართულებით,რისი წარმოებაც ყველაზე ეფექტიანად შეუძლია,

იმისდა მიუხედავად, სხვა ქვეყნებს შეუძლიათ თუ არა იმავე პროდუქტების უფრო ეფექტიანი წარმოება [თ. შენგელია, 2016, გვ 287].

თუ ქვეყანას არ ექნება აბსოლუტური უპირატესობა რაიმე პროდუქციაზე, საგარეო ვაჭრობა იქნება მაინც მომგებიანი იმ შემთხვევაში, როცა მოხდება დასპეციალიზება ისეთ საქონელზე, რომლის წარმოებისთვისაც შედარებით ნაკლები სახსრები იქნება საჭირო, ვიდრე სხვა ნებისმიერი საქონლის წარმოების დროს. ინგლისელმა ეკონომისტმა შეფარდებით დანახარჯებს შორის განსხვავებით განსაზღვრა შეფართებითი უპირატესობა, სხვა ქვეყნებთან შედარებით. ისიც უნდა ითქვას, რომ დ. რიკარდოს თეორიას ჰყავდა კრიტიკოსებიც, რომლებსაც არ მიაჩნდათ საკმარისად შრომითი ფაქტორის განსაზღვრა დანახარჯების წყაროდ. ამის საფუძველზე კი წარმოიქნა ისეთი თეორია, სადაც შრომასთან ერთად, მიწა და კაპიტალიც მთავარ ფაქტორებად განიხილებოდა.

წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის თეორია - რომელიც ეკუთვნის შვედ ეკონომისტებს: ელის ჰექშერსა და ბერტილ ოლინს, ითვალისწინებდა ქვეყნის დასპეციალიზებას ისეთ პროდუქტზე თავისუფალ ეკონომიკაში, რომლის უზრუნველყოფისათვის გააჩნია ფაქტორთა სიჭარბე და ბუნებრივია, აღნიშნული პროდუქცია წარმოადგენს ქვეყნის ექსპორტისათვის საუკეთესო საშუალებას, ხოლო იმპორტის შემთხვევაში, სახელმწიფოები ცდილობენ ისეთი საქონლის შემოტანას შიდა საზღვრებში, რომლის საწარმოებლად არ გააჩნიათ აუცილებელი და საკმარისი მოცულობის სახსრები. ამ თეორიის თანახმად , არც ერთი ქვეყანა არ ფლობს წარმოების ფაქტორთა ერთნაირ რაოდენობას, შესაბამისად, მსგავსი საქონლის წარმოებისათვის სხვადასხვა დანახარჯები გამოიყოფა. ეს კი ასტიმულირებს ისეთი პროდუქტის წარმოებას, სადაც იაფი და თან მრავლადაა აუცილებლეი ფაქტორები.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული თეორიების გარდა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სხვა კონცეფციებიც მრავლადაა, რომლებიც ძირითადად იხრებიან პროტექციონისტული პოლიტიკისაკენ. მაგალითად: ფ. ლისტი (1789-1846) - გერმანელი პროფესორი ეწინააღმდეგებოდა ღია ვაჭრობას. გერმანიის

გაერთიანებისა და ეკონომიკური განვითარების საფუძველს ქვეყნის მრეწველობის განვითარებაში ხედავდა [რ. ფუტკარაძე,2008,გვ94]. ამისათვის კი საჭირო იყო მკაცრი საბაჟო-სავაჭრო პოლიტიკის გატარება, რაც უცხოური კონკურენტებისაგან თავის დაცვის გარანტად მოიაზრებოდა და თვლიდა, რომ რაც უფრო მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია იქნება გატანილი საზღვარგარეთის ბაზრებზე, მით უფრო გაიზრდება ეკონომიკა და ეს დადებითად აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე.

თანამედროვე პერიოდის ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტთა ნამუშევრებში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების აუცილებლობასა და მათ მნიშვნელობაზე. გრეგორი მენქიუ - ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი თვლიდა რომ ვაჭრობა სარგებლის მომტანია ნებისმიერი მხარისთვის, ქვეყნებს საშუალებას აძლევს, აკეთონ ის, რაშიც საუკეთესონი არიან და მიიღონ უფრო მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება [გ. მენქიუ, 2000, გვ. 9].

დღეს, საკმაოდ აქტუალურია განვითარებადი ქვეყნების შესახებ არსებული თეორიები, სადაც ძირითადად გამოყოფენ არაეკონომიკურ და ეკონომიკურ მიმართულებებს. მსგავსი ტიპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კლიმატური პირობები განსაზღვრავს მათ შესაბამის განვითარებას არაეკონომიკური მიმართულების მიხედვით, ვინაიდან ამ ქვეყნების დიდი ნაწილი განლაგებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში, ხშირი წვიმები კი ხელისშემშლელი ფაქტორია ეკონომიკისათვის. ხოლო როდესაც მშპ-ს მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე უფრო ნელა იზრდება, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში მყოფი მოსახლეობა, ამ შემთვევაში საქმე გვაქვს უკვე ეკონომიკურ მიმართულებასთან. ეს ქვეყნები საჭიროებენ ნედლეულის შესყიდვას და ისეთი ბაზრების არსებობას, სადაც შესაძლებელი იქნება განხორციელდეს სამრეწველო პროდუქტის რეალიზაცია. აქ კი გამოიკვეთა დანარჩენ ქვეყნებთან ურთიერთობის აუცილებლობა.

ბოლო პერიოდში მსოფლიო წარმოებაზე ბევრად უფრო სწრაფად იზრდება და ვითარდება საგარეო ვაჭრობა, რომელშიც განვითარებული ქვეყნების წილი გაცილებით მაღალია , ვიდრე განვითარებადი ქვეყნებისა, რომელთა წილი საკმაოდ

მცირეა. აშშ, გერმანია, იაპონია, ჩინეთი, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო- თითოეულ მათგანს მოწინავე ადგილი უკავია საექსპორტო და საიმპორტო პოლიტიკაში. აშშ არის ის ქვეყანა, რომელიც ლიდერია ფაქტობრივად ყველა მიმართულებით დღევანდელ მსოფლიოში, რასაც განაპირობებს თავისი საგარეო-ეკომომიკური და პოლიტიკური პოტენციალი. ის ცდილობს ისეთი ოპტიმალური გზების მოპოვებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის გარეთ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მიღწევა და შენარჩუნება.

გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდია მსოფლიო ვაჭრობაში განვითარებული ქვეყნების როლი, რომელიც სისტემატურად იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ცხოვრობს მოსახლეობის უმრავლესობა. განვითარევადი ქვეყნების უპირატესობა არის ხელთ არსებული რესურსების ექსპორტი, ვინაიდან სწორედ მათ გააჩნიათ ძირითადი რესურსების მარაგი, ხოლო განვითარებული ქვეყნები რესურსების იმპორტიდან იღებენ დიდ შემოსავალს, იმაზე მეტს, ვიდრე თავად საქონლის მწარმოებელი ექსპორტიორი ქვეყანა. შეიძლება ითქვას, რომ მზა პროდუქციის ფასზე უფრო ნაკლებად იზრდება რესურსების ფასი საერთაშორისო ბაზრზებზე, ამიტომ რესურსებით ვაჭრობა და ექსპორტი არ იქნება სარგებლის მომტანი განვითარებული ქვეყნებისათვის, ის გამოიწვევს მათი მნიშვნელობისა და ადგილის შესუსტებას საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ეროვნული ეკონომიკის სრულყოფილი განვითარების მოდელის მოძიება, სხვა ქვეყნების მსგავსად შედის საქართველოს ინტერესებშიც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა იმის საჭიროება, რომ გატარებულიყო განსხვავებული რეფორმები ეკონომიკის სფეროში, უფრო კონკრეტულად კი გაჩნდა გეგმური მეურნეობიდან თავისუფალ ეკონომიკაზე გადასვლის შესაძლებლობა. აგრეთვე, აუცილებელი იყო საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება სხვა ქვეყნებთან. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ეს

ყოველთვის განაპირობებდა და განაპირობებს განვითარებული ქვეყნების დაინტერესებას ჩვენი ქვეყნით.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ნელა მაგრამ მაინც იქმნებოდა საფუძველი იმისა, რომ განვითარებულიყო ღია სავაჭრო პოლიტიკა. ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) საქართველოს გაწევრიანებამ - 1999 წელს, რომლის დროსაც განხორციელდა რადიკალური ცვლილებები სავაჭრო-სატარიფო სფეროში, რაც გულისხმობდა სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესებას, საბოლოოდ კი ლიბერალური სისტემის დამკვიდრებას.

1995 – 2000 წლებში საქართველოში მოქმედებდა ერთიანი უნიფიცირებული საბაჟო ტარიფი 12%. მოგვიანებით საქონლის მცირე ჯგუფზე (ფარმაცევტული პროდუქცია, ძირითადი საშუალებები, მათი სათადარიგო და მაკომპლექტებელი ნაწილები, საწარმოო დანიშნულების საქონელი) დაწესდა შეღავათიანი 5%-იანი ტარიფი [ი. ხარაზი,2017, გვ677] .

ამჟამად, საბაჟო და საიმპორტო გადასახადების მიხედვით ის ქვეყნები, რომლებთანაც საქართველოს გააჩნია ეკონომიკური კავშირები, იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ვმო-ს წევრობის ან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ის ქვეყნები, რომლებზეც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არის გავრცელებული; რომლებზეც არ არის გავრცელებული და რომლებთანაც გვაქვს შეღავათიანი ეკონომიკური ურთიერთობები.

იმისათვის, რომ სწორედ განისაზღვროს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მიმართულებები, რომელიც ამჟამად გააჩნია საქართველოს, ობიექტური შეფასებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვინ არიან პარტნიორი ქვეყნები, რა სფეროში გვაქვს კავშირები მათთან, როგორია საექსპორტო-საიმპორტო პოლიტიკა, ქვეყნის გარეთ სავაჭრო ბრუნვა და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებში ექსპორტის წილი გაცილებით მცირე იყო იმპორტთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვაში, ეს მაჩვენებელი კი, რა თქმა უნდა, არ არის კარგი და სარგებლის მომტანი.

მართალია ბოლო პერიოდში იზრდება მოკავშირე ქვეყნების რაოდენობა და შესაბამისად სავაჭრო ბრუნვაც, მაგრამ სავაჭრო დეფიციტი ანუ ექსპორტის ღირებულების ნაკლებობა იმპორთან, გაცილებით სწრაფად იზრდება.

აუცილებელია ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარება, რომლებთანაც გვაქვს დადებითი სავაჭრო ბალანსი. ასევე, საჭიროა, რომ საექსპორტო სასაქონლო სტრუქტურაში გარკვეული დოზით ცვლილებები იქნას შეტანილი. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვისა ძირითადად მოდის დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ-ს) ქვეყნებზე, რომელიც გამუდმებით იზრდება.

საქართველოს საგარეო ურთიერთობების მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, დსთ-ს ქვეყნებთან არის გაცილებით ფართო, თუმცა არანაკლებ მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებასა და გაღრმავებას, ვინაიდან მას გააჩნია საკმაოდ დიდი ბაზარი, რომელზეც მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 20-25%. შესაბამისად, ქვეყნის ინტერესებში შედის ევროკავშირში გაწევრიანება და ამით მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვება.

აღსანიშნავია ისიც, რომ GSP+ რეჟიმით ახორციელებს საქართველო ვაჭრობას ევროკავშირის ქვეყნებთან, ეს კი დადებითი ფაქტორია ექსპორტის წინ წაწევის კუთხით. მხარეებს შორის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის (FTA) შემოღების შემთხვევაში კი საქართველო აუცილებლად განვითარდება და სარგებელს ნახავს. ორმხრივი, ღია ურთიერთობებით ქვეყანა აღარ იქნება დამოკიდებული მხოლოდ ცალკეულ ბაზრებზე. ხელი შეეწყობა ისეთ დარგებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. ქვეყანა განვითარდება სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, დამკვიდრდება საერთაშორისო სტანდარდის ნორმები, მოხდება მათი შესაბამისი დარეგულირება, ამასთან ერთად გაღრმავდება რეგიონის საგარეო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან. ეს ყველაფერი კი დადებითად აისახება ეროვნულ ეკონომიკაზე.

არაერთია ისეთი ქვეყანა, რომელთანაც საქართველოს დადებული აქვს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები და ამის საფუძველზე ხდება

მრავალი უპირატესობის მოპოვება, მაგრამ აუცილებელია მათი რეგულირება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი , ეს შეთანხმებები შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი ჩვენი ქვეყნისათვის. სამწუხაროდ, ისტორიაში გვაქვს მსგავსი ფაქტები, როდესაც უხარისხო პროდუქცია იქნა შემოტანილი პარტნიორი ქვეყნიდან,მაგალითად: თურქეთიდან.

საქართველოს ვაჭრობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა: უკრაინა, თურქეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი. ეს განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით: მათთან გვაკავშირებს ტერიტორიული სიახლოვე; ასევე, ამ ქვეყნების ბაზრები ნაკლებად მომთხოვნია ამა თუ იმ პროდუქტის სახეობის მიმართ.აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა არ გამოირჩევა მაღალი შემოსავლით და სხვა.

საბოლოო ჯამში, საერთაშორისო ვაჭრობაში ღირსეული ადგილის დაკავებისათვის, საქართველომ უნდა მოახდინოს ექსპორტის წახალისება, ვინაიდან ის იმპორტთან შედარებით, საკმაოდ ნელი ტემპით იზრდება. თუ გაიზრდება განვითარებული ქვეყნების რაოდენობა და წილი ექსპორტში, ეს გამოიწვევს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მსგავს ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით სტიმული მიეცემა ადგილობრივ წარმოებასა და მოხდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. საჭიროა მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა განვითარებისა და გაზრდისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ასევე, აუცილებელია სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება ევროკავშირთან. ჩვენ ხელთ არსებული სატრანზიტო პოტენციალი მოგვცემს იმის საშუალებას, რომ გავზარდოთ კავშირები მსოფლიო თანამეგობრობასთანაც. არ უნდა დაგვავიწყდეს რუსეთის ბაზარიც, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამ ყველაფრის გათვალისწინების შემთხვევაში იყო ქვეყნის ეკონომიკა მიაღწევს სტაბილურ მდგომარეობას.

1.3. საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების მეთოდოლოგიური ასპექტები

ზოგადად, კვლევა და მასზე დაფუძნებული ინფორმაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღებისას. ის გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სხვადასხვა ტიპის მონაცემების შეგროვება. მიზნის მკაფიოდ განსაზღვრა, სისტემური მონაცემთა შეგროვება და ინტერპრეტაცია - ეს ის მოთხოვნებია, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება ტერმინი - კვლევის სრულყოფილად გამოყენება. საჭიროა, სისტემატური გზით მონაცემების მოძიება და გამორკვევა, რითაც ცოდნა გაუღრმავდება ნებისმიერ მკვლევარს.

,,სისტემატური'' - ნიშნავს იმას, რომ კვლევა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ვარაუდებზე, ის გულისხმობს ლოგიკურ კავშირებსაც. აქედან გამომდინარე, მოიცავს იმ მეთოდების გამოყენებასა და განმარტებას, რომლის საშუალებითაც ხდება მონაცემების მოძიება, შეგროვება და დამუშავება. ასევე, მიუთითებს თუ რატომ არის პროდუქტიული ხელთ არსებული შედეგები და განმარტავს ისეთი ტიპის შეზღუდვას, რომელიც მათთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება მეთოდებსა და მეთოდოლოგიებს, ეს ცნებები არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში, მეთოდოლოგია შედარებით ფართოა, რომელიც შედგება მეთოდე-ბისაგან, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის სპეციფიკურ მიდგომებს. მათი ერთობლიობა კი წარმოადგენს კვლევას, რომელთა გამოყენებაც ხშირად ხდება ცოდნის გასამყარებლად და ბუნებრივია, უფრო მეტის შესაძენათაც.

არსებობს ორი სახის კვლევის მეთოდი: რაოდენობრივი და თვისებრივი. მათ გააჩნიათ როგორც განსხვავებული, ისე საერთო მახასიათებლები და მიზნები. ერთობლივი მიზანი მდგომარეობს სწორედ ცოდნის გამდიდრებაში. უპირატესობის მინიჭება რომელიმე მეთოდზე არ იქნება სწორი, თითოეული ხასიათდება სუსტი და

ძლიერი მხარეებით, რომელთაგანაც ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს საჭირო და სარგებლის მომტანი დროის მოცემულ მონაკვეთში, გააჩნია კონკრეტულ საკითხს, რომელსაც ვიკვლევთ, თუ რა წარმოადგენს ჩვენი ინტერესების სფეროს და რაზე გვჭირდება პასუხის გაცემა კვლევიდან გამომდინარე.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდები იშველიებს რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ქულებს, პროცენტებს და მიზნად ისახავს დაადგინოს ამა თუ იმ სოციალური ფენომენის გამოვლენის სიხშირე და ამ მეთოდების მეშვეობით მიღებული შედეგების სანდოობას სტატისტიკური კანონზომიერები უზრუნველყოფს [ლ, ტაბატაძე,2017, გვ36].

თვისებრივ მეთოდებში კი მოიაზრება საკვლევი თემის, პრობლების სიღრმისეული შესწავლა. ის საშუალებას გვაძლევს დავაფიქსიროთ და ავხსნათ ისეთი წვრილმანი დეტალები, რომელთა აღქმაც ვერ მოხდა რაოდენობრივი მეთოდების შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებების დისციპლინებთან დიდადაა დაკავშირებული საერთაშორისო ეკონომიკა, რომელიც საჭიროებს კვლევის მეთოდების აუცილებელ გამოყენებას. გამოსაკვლევი საკითხების დამუშავება კი, ზემოთ აღნიშნული მეცნიერებების ლოგიკური თანმიმდევრობისა და სიღრმისეული შეცნობის გარეშე, შეუძლებელი იქნება.

ჩემ მიერ ნაშრომში გამოყენებული იქნა შემდეგი სახის კვლევის მეთოდები: სტატისტიკური მეთოდები, ინდუქცია და დედუქცია, დიალექტური მეთოდი, კვლევის მეცნიერული აბსტრაქციის, პოზიტიურ-ნორმატიული და შედარებითი ანალიზის მეთოდები. ასევე, როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერებების მიერ შექმნილი სხვადასხვა სახის ნაშრომები და მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევები.

დიალექტიკა არის სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელიც მუდამ მოძრაობასა და განვითარებაში შეისწავლის ეკონომიკურ მოვლენებს.

ამა თუ იმ მოვლენის, თუნდაც პროცესის გამოკვლევის დროს სტატისტიკა იყენებს ისეთ სპეციფიკურ მეთოდებს, რომელიც მისთვისაა დამახასიათებელი. აქ

კვლევის პროცესი დაყოფილია ძირითადად სამ ეტაპად: ჯერ ხდება დაკვირვება, შემდეგ საჭირო მასალების შეგროვება, დასკვნით ნაწილში კი ანალიზი, სწორედ ამ შემთხვევაში გამოიყენება დაკვირვების, დაჯგუფებისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

სტატისტიკა, ეფუძნება რა დიალექტიკის კანონებს, რაოდენობრიობასა და თვისებრიობას შორის კავშირურთიერთობის საფუძველზე სწავლობს პირველის მეორეში და პირიქით, გადასვლის აუცილებლობას.[დ, კბილაძე,2015, გვ30].

ინდუქცია და დედუქცია - პირველ შემთხვევაში მიიღება კონკრეტულიდან ზოგადი დებულებები, ხოლო მეორე შემთხვევაში პირიქით, ზოგადიდან მივდივართ კონკრეტულ დასკვნამდე, რომელსაც სხვა სახელწოდებაც აქვს, კონკრეტულად კი - ჰიპოთეზის მეთოდი.

მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდის არსი მდგომარეობს კვლევის ობიექტის სისტემური ნიშნების განსაზღვრაში, რომლის დროსაც გვერდის ავლა ხდება დროებით მოვლენებზე.

პოზიტიური ანალიზი არ შემოიფარგლება მსჯელობით, ის ეყრდნობა სხვადასხვა ფაქტებს, ხოლო ნორმატიული ანალიზის დროს კი აქცენტი გადატანილია ძირითადად სამომავლო გეგმებზე, მაგალითად როგორი შეიძლება იყოს საერთაშორისო ბიზნესი ანუ მოიცავს მსგავსი საკითხების განხილვას.

ამავე დროს, თანამედროვე საზოგადოებრივ მეცნიერებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ეკონომიკის საკითხების დისციპლინათშორისო მეთოდების კვლევას [ე. ეთერია, 2006, გვ8], რაც განპირობებულია: ამჟამინდელ სამყაროში პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმების ურთიერთდაკავშირებით, მათი გაერთიანებით; არსებული საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გაფართოებითა და მრავალფეროვნებით; ასევე, მსოფლიო ეკონომიკის გავლენით ყოველი ქვეყნის ეკონომიკაზე.

ამგვარად, კვლევის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ სპეციფიკურ მეთოდებს, რომელსაც ეყრდნობა ნებისმიერი მკლევარი. სწორედ მისი

საშუალებით ხდება ობიექტურად შეფასება იმისა, თუ რამდენად სრულყოფილად ჩატარდა კვლევა, რა ტიპის მასალები იქნა მოპოვებული, შესაბამისად რა გზებით, პასუხი გაეცა თუ არა ყველა დასმულ საკითხს,საბოლოოდ კი, რამდენად გაიზარდა თავად მკვლევრის ცოდნის ბაზა.

თავი 2. საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციები

2.1. დსთ და მისი ეკონომიკური სივრცე

მსოფლიო ეკონომიკის სივრცეში წარმოშობილმა რთულმა პროცესებმა, რომელიც მოიცავდა მრავალ წინააღმდეგობებს, განაპირობა სხვადასხვა ქვეყნების მიერ ერთობლივი სისტემის, გაერთიანებების შექმნის აუცილებლობა. მისი მიზანი იყო საერთო ინტერესების მქონე სახელმწიფოების ურთიერთდაკავშირება და ერთობლივი ძალებით განვითარება.

ინტეგრაცია გულისხმობს ცალკეული ნაწილების, ერთ მთლიან ბლოკში მოქცევას, რაც მის წევრ ქვეყნებს ანიჭებს მნიშვნელოვან უპირატესობებს: საკუთარი ბაზრის გაფართოება; მისი დაცვა; სხვა დიდი ბაზრების ათვისება; ეკონომიის მიღწევა ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებაზე და სხვა.

ეკონომიკური ინტეგრაცია არის ეკონომიკური, პოლიტიკური გაერთიანება სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რომელიც ითვალისწინებს ნაწილობრივ ან სრულად გაუქმებას, სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვებს სავაჭრო მიმდინარეობაში [მ.ბლიაძე, 2017, გვ112].

არსებობს რეგიონალური ინტეგრაციის მრავალი მაგალითი, რომელთა შორისაცაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ).

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) – 1991 წლის 8 დეკემბერს შეიქმნა რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის რესპუბლიკისა და უკრაინის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე [ვ. კაკაბაძე,2007, გვ11], რომლის ძირითადი დანიშნულება იყო საერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში, სწორედ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ინტეგრაცია. ამ შემთხვევაში კი გადამწყვეტი როლი და უპირატესობა ენიჭებოდა რუსეთის ფედერაციას. ის თავისი ძალაუფლებით აღემატებოდა ყველა დანარჩენს.

თანამეგობრობაში მალევე გაიზარდა მყოფი წევრთა რაოდენობა და მასში შევიდნენ: აზერბაიჯანი; რესპუბლიკა მოლდოვა; სომხეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკები. ეს გაერთიანება მოხდა ალმა-ათის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებდა სხვადასხვა ფაქტორებს: კომუნისტური იდეოლოგია დომინირებდა აღნიშნულ რესპუბლიკებში; განათლების დონე არ იყო მოწოდების სიმაღლეზე; სატრანსპორტო სტრუქტურაც ვერ გამოირჩეოდა სათანადო განვითარებით; ეროვნული ეკონომიკა იყო საბჭოთა კავშირის ზეგავლენის ქვეშ და სხვა.

დსთ სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირია, რომლის ორგანოებს კორდინაციის ფუნქციები აქვს, ხოლო გადაწყვეტილებანი სავალდებულოა მხოლოდ იმ წევრებისათვის, რომელიც ეთანხმება მას [ლ. ალექსიძე, 2006,გვ 151].

უპირატესობები, რომლითაც საქართველო გამოირჩევა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისგან, არის შემდეგი სახის: თურქეთის ფაქტორი, რომელიც ნატოს წევრია და ასევე, არის ჩვენი მეზობელი სახელმწიფო, ამით კი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება, გარკვეულწილად უზრუნველყოფილია; უხსოვარი დროიდან მოყოლებული საქართველოში არც ხდებოდა და არც ხდება რელიგიური დისკრიმინაცია, პატივს ცემენ ნებისმიერ სხვა სარწმუნოებას; ის საზღვაო კავშირები, რომელიც გვაკავშირებს ევროპასთან; სპეციფიკური ბუნებრივი რესურსები, რითაც გამოვირჩევით სხვებისგან; ყველაზე მეტად აქ გასათვალისწინებელია ის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც განაპირობებს არა ერთი ქვეყნისა თუ საერთაშორისო გაერთიანების, ორგანიზაციების საქართველოთი დაინტერესებას, მათ შორის ნატო-ს დაინტერესებასაც.

თუ გადავხედავთ წარსულს და სათანადოდ გავაანალიზებთ დსთ-ს სივრცეში ეკონომიკურ ინტეგრაციის პროცესებს, მიხვდებით, რომ საკმაოდ რთული იქნებოდა და იქნება შეთანხმებების მიღწევა ეკონომიკურ სფეროებში, მათ შორის საბაჟო-საიმპორტო პოლიტიკაშიც. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შემოსავლის დონით, მათი სამომხმარებლო

კალათები ვერ იქნება ერთნაირი, ამ სიტუაციაში ძნელია თანაბარი, დემოკრატიული პრინციპების შემცველი ეკონომიკური სივრცის შექმნა და დამკვიდრება, მითუმეტეს ფინანსური სისტემის [T. Boyomi, 1995,pp 552]. მიუხედავად ამ ვითარებისა, მაინცაა შესაძლებელი, გარკვეული დოზით, მსგავს სფეროებში შეთანხმებების მიღწევა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მიზნის მიღწევას განაპირობებს ორი უდიდესი სახელმწიფოს - რუსეთისა და აშშ-ის ინტერესები.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, დსთ-ს გარდა, შეიქმნა სხვადასხვა სახის ინტეგრაციული გაერთიანებები, რომელთა შორისაა სუამი.

ის ფაქტი, რომ დსთ-ს ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობენ ისეთი ქვეყნები, რომლებიც ძირითადად ხასიათდებიან არასტაბილური მდგომარეობით, ხელს უშლის ინტეგრაციული პროცესების განვითარებას და ართულებს ორმხრივ, თავისუფალ ურთიერთობებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) არის ისეთი გაერთიანება, სადაც მთავარ მმართველ ძალას წარმოადგენს რუსეთი, ის ცდილობს მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური სადავეების ხელში ჩაგდებას, რითაც მისი გავლენის სფერო უფრო მეტად გაიზრდება. მაგალითად: წარსულში რუსეთის მიერ განხორციელებული ამბიციური ქმედებები სხვადასხვა სახის აქციების დაუფლებისათვის, რომელიც იყო თანამეგობრობის მონაწილე ზოგიერთი ქვეყნის საკუთრება.

თანამედროვე პერიოდში ნათლად არის გამოკვეთილი ის ძირითადი მიმართულებები, რომელსაც უნდა დაეყრდნოს დსთ: თავისუფალი სავაჭრო - ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბება და ამის საფუძველზე საერთო საბაჟო, საგადამხდელო სისტემის ფორმირება.

არსებობს თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბების შესახებ ორი, შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული დამოკდებულება: საერთო სამართლებრივ-ეკონომიკური სივრცის შექმნა, რომელიც თანაბრად უნდა

გაითვალისწინოს ყველამ და გარკვეული პრეფერენციული პოლიტიკის გატარება, რომელიც ვრცელდება კონკრეტულ საქმიანობაზე.

თავისუფალ ეკონომიკურ ზონად შეიძლება ჩავთვალოთ ნებისმიერი სახელმწიფო, ან კონკრეტული სეგმენტი, თუნდაც ის ეკონომიკური გაერთიანება, რომელსაც აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გაფართოვდეს და შექმნას სხვადასხვა შეღავათიანი პირობები, მათ შორის სტაბილური საინვესტიციო გარემო მონაწილე მხარეებისათვის, რა თქმა უნდა, კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

კიოტოს (იაპონია) კონვენციით თეზ-ა განმარტებულია, როგორც ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონელი ქვეყნის ეროვნული საბაჟო ტერიტორიის გარე ობიექტად განიხილება და ამიტომ ჩვეულებრივ საბაჟო კონტროლსა და დაბეგვრას არ ექვემდებარება [ვ. ბარათაშვილი, 2007, გვ433].

დსთ-ს ქვეყნებს, თავისუფალი ეკონომიკური ზონის სწორად ჩამოყალიბებისა და წარმართვის შემთხვევაში მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ ისარგებლონ სხვადასხვა ტიპის შეღავათებით: დაწყებული გამარტივებული საგარეო - სავაჭრო პოლიტიკით და დამთავრებული ადმინისტრაციული შეღავათებით. ამ დროს გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ხელს შეუწყობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, კონკრეტულად კი: სტაბილური პოლიტიკური გარემო თითოეული წევრი სახელმწიფოსათვის; განათლების მაღალი დონე; ხელისუფლების ორგანოების სრული მხარდაჭერა ეკონომიკურ ინტეგრაციებში და სხვა. თუმცა ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგებიც, იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო შეთანხმებებს,მათ შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, ეწინააღმდეგება დსთ-ს ზოგიერი ხელშეკრულება, ეს გამოიწვევს მასში გაერთიანებული სახელმწიფოების, სხვა ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის შეფერხებას.

ერთიანი საბაჟო სისტემის დროს ხდება საზღვრების გახსნა და, ექსპორტ-იმპორტზე გადასახადების შემცირება, ეროვნულ საზღვრებში სატარიფო კონტროლის შესუსტება და ა.შ. ასეთი სისტემის შექმნა და მისი შესაბამისი რეგულრება ხელს

შეუწყობს თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის საერთო ინტერესების დამკვიდრებას, რითაც დასაბამი მიეცემა ერთობლივი საგარეო - ეკონომიკური პოლიტიკის შექმნას.

ერთობლივი პოლიტიკური და სამართელბრივი სივრცის ჩამოყალიბება დსთ-ს სფეროში იქნება ნაკლებად შესაძლებელი, ვინაიდან ამ გაერთიანების წევრ ქვეყნებს გააჩნიათ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები. მაგალითად: საქართველო დსთ-ში ყოფნის დროს, გამძაფრებით განიცდიდა რუსეთის გავლენას, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა თავი დაეღწია ამ გარემოებისათვის და გადარჩენის გზას ხედავდა დასავლეთში.

ერთიანი ენერგეტიკული სივრცის, სამომავლოდ ჩამოყალიბების პირობებში, როდესაც რესურსების ძირითადი ნაწილი ყოველთვის კონტროლდებოდა და ახლაც კონტროლდება რუსეთის მიერ, ამის კვალობაზე ვერ ხერხდება მსგავსი საქმიანობის გაფართოება. ხოლო საერთო სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება, თავიდანვე არ იყო მისაღები დსთ-ს ზოგიერთი შემადგენელი ქვეყნისთვის, მაგალითად აზერბაიჯანისა და საქართველოსთვის, რაც განპირობებული იყო ისეთი გეოპოლიტიკური ფაქტორით, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

ინტეგრაციული პროცესების მთავარი არსი არის ის, რომ სახელმწიფოთა გაერთიანება ამა თუ იმ ორგანიზაციებში უნდა მოხდეს ნებაყოფლობით და მათი უფლებები უნდა იყოს დაცული. საერთო საგადამხდელო სისტემის დამკვიდრების შემთხვევაში საჭირო ხდება , თუნდაც ისეთი ვალუტის შემოღება, რომელიც საერთო იქნება წევრი ქვეყნებისათვის, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება დემოკრატიულ მიდგომებს ეკონომიკური გაერთიანებებისა. სწორედ ეს იწვევს პრობლემების წარმოშობას ეკონომიკური კავშირების კონკრეტულ სიტუაციებში, რადგანაც არსებობენ ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც სურთ გავლენის სფეროს შენარჩუნება, თუნდაც საგადასახადო პოლიტიკაზე, არ მიაჩნიათ საჭიროდ ნებისმიერი გაერთიანების წევრი ქვეყნების მსგავსად, საერთო პრინციპებით მოქმედება. ამიტომ, სანამ ქვეყანა გადაწყვიტავს ნებისმიერ ეკონომიკურ ინტეგრაციაში ჩართვას, მანამდე

კარგად უნდა განსაზღვროს საკუთარი მიზნები, თუ რისი მიღწევა სურს და იქნება თუ არა მომგებიანი, სხვა ქვეყნებთან გაერთიანება მისი სახელმწიფოსათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში წააწყდება უამრავ დაბრკოლებას და დარჩება უკმაყოფილო თავისი მოქმედებების, რომლებმაც უბიძგა გაერთიანებისაკენ. ამის შემდეგ, შესაძლებელია უარი თქვას ინტეგრაციებზეც და მხოლოდ საკუთარი რესურსებით ეკონომიკის გაზრდა ძალიან რთულია და ფაქტობრივად, შეუძლებელიც. ვინაიდან, ქვეყანა, რომელიც მონაწიოეს მსოფლიო გაერთიანებებში, მნიშვნელოვნად ზრდის თავისი სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელს იმ სახემწიფოებთან, რომლებიც ამ გაერთიანების წევრები არიან.

საერთაშორისო ეკონომიკური გაერთიანებების საშუალებებით ვაჭრობის გაფართოება მოიცავს აქცენტის გაკეთებას საგარეო პროდუქტებზეც, რომლითაც უმჯობესდება მომხმარებელთა კმაყოფილების დონე, რის შედეგადაც უფრო მასიური ხდება იმპორტირებული საქონლის შესყიდვა და მოხმარება. სავაჭრო ბარიერების შერბილების გარეშე კი, ქვეყანა ვერ ისარგებლებს მსგავსი სასაქონლო ჯგუფებით.

კავკასიის რეგიონის ქვეყნებისათვის ისეთ პროცესებში მონაწილეობის მიღება, როგორიცაა საერთო სამეცნიერო-ტექნოლოგიური სისტემისა და სივრცის შექმნა, სრულებით დასაშვებია და არ ეწინააღმდეგება მას, თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ თანამეგობრობის წევრ ქვეყნების უმრავლესობაში წარმოების ტექნოლოგიური დონე არ არის მაღალი, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს მათ განვითარებას.

დაარსების დღიდან მოყოლებული, თანამეგობრობის წევრი ქვეყნები,ბიზნესის სფეროში, კონკრეტულად კი მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდნენ დამოიკიდებლად და გამუდმებით ცდილობნდნენ გაეღრმავებინათ თავიანთი კავშირები გლობალურ ორგანიზაციებთან. ამ კუთხით, ერთიანი სისტემის შექმნა იმიტომ არ იქნება სარგებლის მომტანი, რომ ის ხელს შეუშლის მეწარმეობის განვითარებას, ხოლო მსხვილი ბიზნესის შემთხვევაში, სრულებით შესაძლებელია წარმატების მიღწევა საერთო სისტემის დროს, თუ იქნება გათვალისწინებული ორივე მხარის ინტერესები. აქ იგულისხმება შეთანხმებების

მიღწევა ისეთ დარგებში, როგორიცაა: მრეწველობა, მეტალურგია, ასევე, შეთანხმებები და გამოცდილების გაზიარება თანამედროვე ტექნოლოგიებში და სხვა.

,,დასავლეთის'' ინტერესებსა და მისწრაფებებს ეწინააღმდეგება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), რასაც აშკარად ამჟღავნებს თავისი ქმედებებით, ამით კი, კავკასიის რეგიონს, უსაფრთხოების თვალსაზრისით საფრთხე ემუქრება, გარდა ამისა, იზღუდება, NATO-სა და ევროკავშირისაკენ მიმავალი გზა.

ამრიგად, დსთ-ს უმაღლესი წარმომადგენლების მიერ ჩამოყალიბებული ინტეგრაციული პროცესები და მიმართულებები, სხვა საერთაშორისო კავშირებისაგან განსხვავებით, უფრო მონოპოლიზირებულია, სადაც მართვის სადავეები რუსეთის განკარგულებაშია და ის არ ითვალისწინებს მისი წევრი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს. ამ სივრცეში მოქმედებს ერთი მთავარი პრინციპი: ძლიერი ბატონობს სუსტზე.

თუ ევროპული ინტეგრაცია გულისხმობს ისეთი ერთობლივი სამეურნეო სისტემის შექმნას, რომელშიც წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტობას არ შეექმნება საფრთხე და თითოეული მათგანის ინტერესები იქნება დაცული, დსთ-ს შემთხვევაში ნებისმიერი გადაწყვეტილება უფრო პოლიტიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული, რუსეთი ცდილობს საკუთარ ინტერესებზე დაყრნობით წარმართოს თანამეგობრობის სივრცეში არსებული ეკონომიკური პროცესები, თავისი ქმედებებით კი ამ გაერთიანების არსებობასაც საეჭვოს ხდის.

2.2 დსთ-ს ქვეყნების გეოეკენომიკური დახასიათება

საქართველოს, დსთ-ს წევრ ზოგიერთ სახელმწიფოსთან ურთიერთობებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. აქ მთავარი არის ტერიტორიული სიახლოვე და შესაბამისად, შეგვიძლია გამოვყოთ: რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი, რომლებიც წარმოადგენენ

მეზობელ ქვეყნებს. ამ რეგიონებში არსებული მდგომარეობა და მიმდინარე პროცესები არ უნდა გამოგვრჩეს თვალთახედვიდან, ვინაიდან ისინი გარკვეულწილად ზემოქმედებენ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაზე.

რუსეთის გეოეკონომიკური მიმოხილვა - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიო ფაქტობრივად ჩამოყალიბდა ერთ მთლიან სისტემად, რომელიც გულისხმობდა და გულისხმობს აქტიურ ლიბერარულ-დემოკრატიული პოლიტიკის გატარებას, რათა დაიცვას და მოაწესრიგოს ქვეყნებს შორის საერთაშორისო კავშირები, თუმცა არსებობს სახელმწიფოები, მათ შორის რუსეთიც, რომლებიც ცდილობენ ამ სისტემის განადგურებას და თავიანთი ინტერესების შესაბამისად წარმართვას.

საწყის ეტაპზე, მართალია რუსეთი იძულებული იყო, რომ გარკვეული დოზით ჩართულიყო იმ გეოსტრატეგიულ პროცესში, რომლისკენაც მსოფლიოს ჰქონდა გეზი აღებული, მაგრამ მალევე, ის დაუპირისპირდა თავისუფალი ღირებულების მქონე საგარეო სტრატეგიას და დაიწყო ნაციონალური მიმართულებით მოქმედება.

თანამედროვე მსოფლიოში, რუსეთი, იგივე რუსეთის ფედერაცია ერთ-ერთი უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც მდებარეობს აღოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აზიაში. მას ესაზღვრება არა ერთი სახელმწიფო, რომელთა შორის ისინი მოიაზრებენ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს: აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რომლებიც ოკუპირებულია და მათი საგარეო პოლიტიკის შედეგია.

ქვეყნებს შორის ტერიტორიის ფართობის მიხედვით ლიდერობს რუსეთი, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის ზრდის დინამიკით წლიდან-წლამდე, რაც მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია იმისა, რომ ქვეყანას ჰქონდეს მყარი ეკონომიკა.

რუსეთს გააჩნია ის უპირატესობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი ეკონომიკის მუდმივ ზრდასა და განვითარებას. მაგალითად: მრავალფეროვანი ბუნებრივ-კლიმატური პირობები; მდიდარი სასარგებლო წიაღისეული, რომელთა საბადოების არსებობასაც და სიმრავლესაც ნამდვილად არ უჩივის სახელმწიფო; მინერალური და ენერგეტიკული რესურსები (ნავთობისა და ბუნებრივი გაზის

წარმოების სფეროში მოწინავე ადგილი უკავია); უზარმაზარი ტყის რეზერვები (ჩრდილოეთ ოლქებში არის ძირითადად) და სხვა.

ლიბერალური პოლიტიკის დამკვიდრების თავისებური ვერსია გააჩნია რუსეთს, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოკავშირე რესპუბლიკებზე გაიზარდოს მისი გავლენის სფერო, რასაც შეძლებს მათ ტერიტორიაზე განლაგებული სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოების დაუფლებით. ამ მხრივ, დიდ ყურადღებას იპყრობს იმ უცხოური კაპიტალის რაოდენობა და მისი ჩადება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ყოველი ქვეყნის ეკონომიკაში, რომელიც რუსეთმა დააბანდა [K. Crane,2005,p38].

1991 წლიდან მოყოლებული აზერბაიჯანი, საქართველოს მსგავსად ცდილობს თავისუფალი საგარეო - ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას და თავისი ადგილის დამკვიდრებას საერთაშორისო ბაზარზე. ამ ორ ქვეყანას ერთმანეთთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი ისტორია აქვთ, რასაც ხელს უწყობს მათი საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებები, გარდა ამისა, მცირე სახელმწიფოთა კატეგორიაში შედიან და დაახლოებით თანაბარია ეკონომიკური განვითარების დონე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა მიეკუთვნება უნიტარულ სახელმწიფოთა რიცხვს, სადაც მართვის სადავეები ცენტრალური ხელისუფლების ხელშია და მის მიერ კონტროლდება.ეს არის სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში, რომელსაც საგარეო კავშირები დამყარებული აქვს მრავალ ქვეყანასთან. იგი იმყოფება ინტეგრაციაში სხვადასხვა გლობალურ ორგანიზაციებთან, მათ შორის არის დსთ-ს წევრი, შედის სუამი-ს შემადგენლობაშიც, რომლის ერთ-ერთი შემქმნელიც თავადაა.

ქვეყანა გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაპტებით და ფლობს ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე რესურსებს, როგორიცაა: ნავთობი; ბუნებრივი აირი; სხვადასხვა სახის ლითონები და ა.შ. ასევე, დიდია ეროვნულ ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილი, რაც მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია ამ სფეროში წინ წაწევისა და განვითარებისათვის.

აზერბაიჯანული მანეთი არის ქვეყნის ვალუტა, რომლის დამკვიდრებისა და შენარჩუნებისათვის, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, განხორციელდა ისეთი პროცესები, როგორიცაა სავალუტო სტაბილიზაციის ფონდის შექმნა, მოგვიანებით, ერთიანმა სავალუტო ფონდმა იკისრა მისი ფუნქციები.

ბოლო პერიოდში, აზერბაიჯანში არსებული მდგომარეობის ანუ გაზისა და ნავთობის ექსპორტიდან შემცირებული სავალუტო ნაკადების ფონზე მოხდა მანათის მნიშვნელოვანი გაუფასურება.

აზერბაიჯანის მთავრობა, ყოველთვის უთმობდა განსაკუთრებულ ყურადღებას უცხოურ ინვესტიციებს და მათთვის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად ატარებდა საფინანსო რეფორმებს. ამ მხრივ, სხვებზე უფრო მეტად დატვირთული სექტორი, უცხოური კაპიტალდაბანდების მხრივ, არის ნავთობის სექტორი.

დღეს, მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესებში, აზერბაიჯანი ცდილობს საერთაშორისო ურთიერთობითა და მისი გაღრმავებით, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, სტაბილური გარემოს შექმნას და ამის ფონზე ადგილის დამკვიდრებას გლობალურ ბაზარზე. მართალია, ქვეყნის ეკონომიკა არ იმყოფება ხელსაყრელ პირობებში, რაც გამოწვეულია ნავთობზე ფასების დავარდნით, მიუხედავად ამისა, ეს არ ცვლის მის მისწრაფებებს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გააფართოოს ეკონომიკური ინტეგრაციის სფერო.

სომხეთი არის საქართველოს მეზობელი სახელმწიფო ამიერკავკასიაში, რომელთანაც გვაკავშირებს დიდი ხნის ურთიერთობები. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში ჩამოყალიბდა გარკვეულწილად ცენტრალიზებული, გეგმიური ეკონომიკის პრინციპების შემცველი ეკონომიკური მოდელი, თუმცა გარეგნულად, საბაზრო ეკონომიკის მსგავსია და ამ სფეროში უცხოურ ინვესტიციებსა და საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, დიდია რუსეთის გავლენაც, ვინაიდან სომხეთის რესპუბლიკაში უცხოური ინვესტიციების უმრავლესობას ახორციელებს სწორედ ეს სახელმწიფო.

ქვეყნის ეკონომიკა არ გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და მდიდარი რესურსებით. გააჩნია ძვირფასი ლითონების მცირე მარაგი, კონკრეტულად კი ოქროსი.

აღსანიშნავია, რომ დსთ-ს სივრცეში, სომხეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური რეფორმა გაატარა, მაგრამ მათი მექანიზმები, ბოლომდე მაინც არ ითვალისწინებდა აგრარულ სექტორს. რაც შეეხება მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს, საგადასახადო დატვირთვა, უფრო მეტად მოდიოდა საშუალო ბიზნესზე, რომელსაც არ წყალობდნენ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები, მსხვილი ბიზნესი კი სარგებლობდა გარკვეული პრივილეგიებით.

მეტწილად, მშენებლობებმა და მომსახურების სფეროებმა განაპირობეს ეკონომიკის გააქტიურება და ზრდა ქვეყანაში, რომლის შედეგადაც სხვა დარგებსაც მიეცა ფართო გასაქანი. ასევე, საგადასახადო - საბიუჯეტო სფეროში განხორციელდა გარკვეული სახის ცვლილებები, რის საფუძველზეც დამტკიცდა ბიუჯეტი.

სომხეთის ეკონომიკაზე დიდი გავლენა იქონია თანამედროვე გლობალიზაციის სფეროში მიმდინარე პროცესებმა, საგარეო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, რაც განპირობებული იყო სპილენძზე ფასების დავარდნით, ასევე, უცხოეთიდან ფინანსური გზავნილების შემცირებით. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანა თავად არის აღნიშნული ლითონის ექსპორტიორი, რომელზეც შემცირდა ფასები გლობალურ ბაზარზე, ბუნებრივია, ეს დადებითად არ აისახებოდა ეროვნულ ეკონომიკაზე.

ქვეყანაში მოქმედებს ისეთი ეკონომიკური სისტემა, სადაც ბიზნესი და ხელისუფლება კვეთს ერთმანეთს, არსებობს მონოპოლიებიც, რითაც ფერხდება საბაზრო ეკონომიკის განვითარება. ნაკლებადაა დაცული კერძო საკუთრება და არის იმის საშიშროება, რომ მოხდეს ბიზნესიდან მაღალკვალიფიციური მუშახელის გადინება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გეოგრაფიულ სიახლოვეს ქვეყნებისათვის უპირატესობის გარდა, შესაძლებელია გააჩნდეს უარყოფითი მხარეებიც ანუ ქვეყნები,

უფრო მეტად გამძაფრებულად გრძნობენ საფრთხეს ერთმანეთის მიმართ, როდესაც ისინი იმყოფებიან ტერიტორიულად ახლოს თავიანთ საზღვრებთან [J. Jakub, 2006,p17], ამ შემთხვევაში მოსალოდნელია პოტენციური საფრთხის ზრდის დაჩქარება, შორს მყოფი ქვეყნებთან შედარებით. თუმცა, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოს დსთ-ს წევრ ქვეყნებთან - რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან აკავშირებს ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობები, რომლის გაღრმავებასა და განვითარებასაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის უსაფრთხოება ვერ იქნება გარანტირებული.

2.3. სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი დსთ-ს ქვეყნებსა და საქართველოს შორის

საქართველო დსთ-ში გაერთიანდა 1993 წლის 24 დეკემბერს [ვ.კაკაბაძე, 2007, გვ15], როდესაც რუსეთმა წამოიწყო საომარი მოქმედებები აფხაზეთში და გაიმარჯვა. ეს მოხდა საკმაოდ მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, რაც ჩვენ ქვეყანას აიძულებდა ეღიარებინა თანამეგობრობის უმაღლესი წარმომადგენლების მოთხოვნები, ისინი კი, დღესაც წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ ინტერესებთან. ქვეყანა, 2009 წლიდან, უკვე აღარ არის ამ გაერთიანების წევრი, თუმცა მის ქვეყნებთან გვაკავშირებს აუცილებელი ეკონომიკური მნიშვნელობის ურთიერთობები.

საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დსთ-ს ქვეყნებთან, საკვლევი პერიოდის მიხედვით, განსხვავებული ინტენტსივობით მიმდინარეობდა.

არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ: საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2019 წლის მონაცემებით შეადგინა 3 859.6 მლნ აშშ დოლარი, ხოლო რაც შეეხება წინა წლის მონაცემებს, როგორც აღვნიშნეთ, ისინი არ იყო ერთნაირი მოცულობის და დროის კონკრეტულ მონაკვეთში შეინიშნებოდა მცირედი კლებაც. მაგალითად: 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს

აშკარა იყო საგარეო ვაჭრობის ბრუნვის შემცირება, ხოლო თუ დავაკვირდებით 2017 წლის მოცულობას ვაჭრობის სფეროში, მან აშკარად გაგადააჭარმა წინა წლის ბრუნვას. (იხ. ცხრილი:2.2.1)

ცხრილი : 2.2.1

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2014-2019

(მლნ.აშშ დოლარი)

	2014	2015	2016	2017	2018	2019 (იანვარი-აპრილი)
საგარეოსავაჭ-რო ბრუნვა	11 462.9	9 505.0	9 406.7	10 674.6	12 476.3	3 859.6
ექსპორტი	2 861.0	2 204.7	2 112.9	2 735.5	3 354.9	1 133.4
იმპორტი	8 601.8	7 300.3	7 293.8	7 939.1	9 121.4	2 726.2
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 740.8	-5 095.6	-5 180.9	-5 203.6	-5 766.4	-1 592.8

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

მონაცემებიდან ჩანს, რომ 2014-2018 წლეებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 1013.4 მლნ. დოლარით ანუ 8.8 %-ით გაიზარდა. განსაკუთრებით საყურადღებოა და პოზიტიურია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა ექსპორტის მოცულობა 493.4 მლნ. დოლარით ანუ 17.2%-ით, ხოლო იმპორტის მოცულობის ზრდამ 519.6 მლნ. დოლარი ანუ 6 %-ი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სალდო უარყოფითია, რაც ცხადია ექსპორტან შედარებით იმპორტის მოცულობის მაღალი მაჩვენებლით არის განპირობებული. თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2014-2017 წლებში საგარეო ვაჭრობის სალდო მუდმივად მცირდებოდა, რაც უდაოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს.

დიაგრამა : 1

ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტში 2019 წლის იანვარ-აპრილში



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან, ექსპორტის კუთხით, ათეულში შედის დსთ-ს 4 ქვეყანა: რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ეს ქვეყნები არის ჩვენი ექსპორტის ძირითადი მიმართულებები დსთ-ს სივრცეში. ამ პერიოდისათვის შეინიშნება შემდეგი სახის ტენდენცია: სხვა ქვეყნებშიც იზრდება და ზრდის ტემპი მაღალია ექსპორტის მოცულობის, მაგრამ განსაკუთრებით დომინირებს მოცემული ქვეყნები. ხოლო ექსპორტში დიდი წილი აქვთ შემდეგ პროდუქტებს: საწყის ეტაპზეა სპილენძის მადნები, შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, მედიკამენტები და ღვინო. სატრანსპორტო საშუალებებიდან, ექსპორტის თვალსაზრისით, გამოირჩევა საზღვაო ტრანსპორტი, რომლითაც ხდება მნიშვნელოვანი ადგილობრივი წარმოების

პროდუქციის გატანა უცხო ქვეყნებში,ასევე, საავტომობილო ტრანსპორტზეც დიდია დატვირთვა ამ მიმართულებით.

საინტერესოა ეკონომიკური საქმიანობის ფორმების გათვალისწინებით, ამჟამად, რა მდგომარეობაა ქვეყნის ექსპორტში: ყველაზე მეტი წილი, მოცემულ სივრცეში აქვს დამამუშავებელ მრეწველობას, აღნიშნულის გარდა სიაში შედის: როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობაც; ელექტროენერგიის, აირის მიწოდებაც; სამთომოპოვებითი მრეწველობაც; სოფლის, ტყის მეურნეობაც; დასაწყობები, ტრანსპორტი და სხვა. სავაჭრო საწარმოების სახეობებიდან კი მსხვილი, ფართო სპექტრის მქონე საწარმოები არიან პირველები ქვეყნის ექსპორტში, რომლებსაც ცოტათი ჩამორჩებიან საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები და მათი ეკონომიკური საქმიანობა.

ცხრილი: 2.2.2

საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით

(ათასი შშ დოლარი)

	2014	2015	2016	2017
სულ	2861.0	2204.7	2112.9	2735.5
ევროკავშირის ქვეყნები	624.2	645.2	565.5	655.1
დსთ-ს ქვეყნები	1465.3	840.9	737.5	1184.8
დანარჩენი ქვეყნები	771.5	718.6	809.5	895.6
იგივე %-ში				
სულ	100	100	100	100
ევროკავშირის ქვეყნები	21.8	29.2	26.8	23.9
დსთ-ს ქვეყნები	51.2	38.1	34.9	43.3
დანარჩენი ქვეყნები	27.0	32.7	38.3	32.8

წყარო: გაანგარიშებულია საქართველის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს ექსპორტის დინამიკა 2014-2017 წლეებში შემდეგი ტენდენციით ხასიათდებოდა. კერძოდ, ექსპორტის საერთო

მოცულობაში ევროკავშირის ქვეყნების წილი 21.8-დან 23.9 %-მდე გაიზარდა. ეს ცხადია კარდია, მაგრამ ამ მიმართულებით ზრდის რეზერვებიარსებობს და ის აუცილებლად უნდა იქნას რეალიზებული, მით უფრო, რომ ევროკავშირი საქართველოსათვის სტრატეგიული პარტნიორია და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვიტარების საქმეში მნიშვნელოვანია.

ამავე პერიოდში გაიზარდა ასევე სხვა ქვეყნების კატეგორიაში შემავლი სახელმწიფოების წილი 27-დან 32.8-%-მდე. რაც შეეხება დსთ-ს ქვეყნების წილსს საქართველოს ექსპორტის მოცულობაში იგი 51.2-დან 43.3 %-მდე შემცირდა. თუმცა აბსოლუტურ გამოსახულებაში დსთ-ში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა მაინც ყველაზე დიდია.

ექსპორტის საერთო მოცულობაში ჩნდეა ახალი მიმართულებები, განსაკუთრებით ღვინის ექსპორტის მხრივ. კერძოდ, მართალია იზრდება ღვინისა და ანალოგიური ალკოჰოლური ნაწარმის ნაკადების გადინება ჩინეთის მიმართულებით, ხდება იაპონიის ბაზრის ათვისება, მაგრამ დღეს, რეალურად ყველაზე მეტი მაინც გადის რუსეთში, რომელიც იყო და არის კიდეც გლობალური მნიშვნელობის ბაზარი საქართველოსთვის.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ჩვენი ემიგრირებული მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი, სწორედ რუსეთშია თავმოყრილი და ის ფულადი გზავნილები, რომელსაც საქართველო იღებს უცხოეთიდან, უმეტესობა სწორედ რუსეთიდან მოდის. ამ სფეროშიც მოწინავე ადგილია უკავია რუსეთის ფედერაციას. მეორე ადგილზე კი უკვე იტალია იმყოფება, ქვეყანაში ფულადი გზავნილების კუთხით. თუ გადავხედავთ წინა წლებში ჩარიცხულ ფულადი სახსრების რაოდენობას, აღმოვაჩენთ რომ ყველაზე მეტი ჩარიცხვა განხორციელდა დეკემბრის თვეში. ხოლო სისტემებიდან, რომლითაც ხდება , როგორც ჩარიცხვა, ისე გადარიცხვა, გამოიყოფა : Zolotaia Корона, Western union, Intel Express და სხვები.

ცალკე უნდა გამოვყოთ დსთ-ს წევრ ქვეყანასთან - უკრაინასთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები, რომელიც საქართველოსთვის ყოველთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს.

საქართველოს უკრაინასთან 1994 წლიდან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს [ბ.კიწმარიშვილი,2015,გვ42], რომელიც გვანიჭებს შეღავათების გამოყენების უფლებებსა და საშუალებებს ვაჭრობის სივრცეში.ის იყო ძალიან დიდი ინვესტორი, კარგა ხნის გამნავლობაში, უკრაინას ეკავა საწყისი პოზიციები ჩვენი სახელწმიფოს მნიშვნელოვან პარტნიორებს შორის, მაგრამ 2014 წლის შემდგომ პერიოდში, როდესაც უკრაინაში დაიწყო ომი და მდგომარეობა ძალიან დაიძაბა პოლიტიკური გარემოებებიდან გამომდინარე, ამან შექმნა ხარვეზები ეკონომიკური კავშირების კუთხით,შესაბამისად ინვესტიციები და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა.

საექსპორტო პოტენციალთან შედარებით საიმპორტო სივრცეში მდგომარეობა შედარებით განსხვავებულია და აქ დაახლოებით თანაბარი წილი აქვთ ევროკავშირსა და დსთ-ს ქვეყნებს. პირველ ადგილს იკავებს თურქეთი, თანამეგობრობის ქვეყნებიდან კი ამ ათეულში მოწინავე ადგილს უკავია რუსეთს.

დღევანდელი მონაცემებით, უმსხვილესი საიმპორტო საქონლის სიაში ლიდერობს: ნავთობი და ნავთობპროდუქტები; სპილენძის მადნები; მსუბუქი ავტომობილები და მედიკამენტებიც. რაც შეეხება ტრანსპორტის სახეობებს, რომლითაც ძირითადად ხორციელდება სხვა ქვეყნის პროდუქტების შემოტანა საქართველოში, ამ კუთხით გამოირჩევა საავტომობილო და საზღვაო მიმოსვლის საშუალებები.

მცირე, საშუალო და მსხვილი სავაჭრო სუბიექტებიდან, ჩვენ ქვეყანაში, იმპორტის უმრავლესობას ახორციელებენ მსხვილი საწარმოს წარმომადგენლები, საშუალო და შედარებით მცირე საწარმოების მიერ შემოტანილი საქონლის ოდენობა ფაქტობრივად, თანაბარია. აგრეთვე, არის შემთხვევებიც, როდესაც გაურკვეველია ბიზნეს სუბიექტების ფორმები.

დიაგრამა: 2

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იმპორტის მიხედვით 2018 წელი (მლნ. აშშ.დოლარი)



წყარო: http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=20

არსებულ მონაცამებზე დაყრდნობით გამოიკვეთა დსთ-ს ქვეყნებთან, ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე, მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და კავშირების ზრდის პესპექტივები , როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის სფეროში და რაც უფრო გავაფართოვებთ მსგავს ქვეყნებთან კავშირებს, მით უფრო შევძლებთ ეროვნული ეკონომიკის განვითარებასა და გაერთიანებას გლობალურ მეურნეობასთან. სწორედ ამიტომაცაა აქტუალური თანამეგობრობის მონაწილე სახელწმიფოებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერიერთობის ანალიზი საქართველოსთვის.

თავი 3. საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები

თანამედროვე პერიოდში, თავისუფალი გლობალური ბაზრებისა და ღრმა ინტეგრაციული პროცესების ფონზე , ყოველი ქვეყნის ეკონომიკა ზემოქმედებს ერთმანეთზე, რაც ხაზს უსვამს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

გლობალიზაციის განვითარების სწრაფი ტემპი იწვევს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების დაჩქარებასა და გაფართოებას, ეს პროცესი არ არის ადვილი, ხასიათდება სირთულეებით, არ აქვს მნიშვნელობა ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოა თუ სუსტი, მაინც ძნელია მსგავს პროცესებთან ადაპტირება და მისი შესაბამისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ნებისმიერი ცალკეული ქვეყნისათვის.

დღევანდელ სამყაროში, იმ ეკონომიკურ მოდელს, რომელსაც აირჩევს თითოეული სახელმწიფო და რომელზეც ის იქნება ორიენტირებული, ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. თუ ქვეყანა გაიზიარებს სხვა ქვეყნების გამოცდილებას, გაითვალისწინებს მათ ეროვნულ ინტერესებს და შეეცდება, რომ მათთან დაამყაროს ეკონომიკური მნიშვნელობის ურთიერთობები, ეს იქნება მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის.

საქართველო, ისტორიული პერიოდიდან მოყოლებული, ცდილობდა აქტიურად ჩართულიყო საგარეო ურთიერთობებში და თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და გაღრმავებაში, მიუხედავად იმისა,რომ იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენ ქვეყანას არ გააჩნდა შესაბამისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობა, თუნდაც სახელმწიფოებრივი დანაწილების დროს, მაინც ახერხებდა აღნიშნულ სივრცეში სხვადასხცა სახის ურთიერთობების განვითარებას.

საბჭოთა კავშირის გავლენის შედეგად, საქართველოს ჰქონდა ფაქტობრივად მოშლილი ეკონომიკური სისტემა. ფინანსური სფერო, ეკონომიკური კავშირები, საბაზრო ურთიერთობები - ყოველივე ეს იყო დარღვეული და შეუსაბამო ნორმალური ეკონომიკური მოდელის, რომლებიც საჭიროებდნენ სრულ გარდაქმნას. ამგვარი ვითარება კი, ბუნებრივია, ართულებდა დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობებს.

საქართველო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ცდილობდა მოეძებნა ისეთი გზები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ეფექტური საგარეო პოლიტიკის დამკვიდრება, რითაც უზრუნველყოფდა ქვეყნის ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში.

გლობალური საფინანსო ორგანიზაციების ხელშეწყობით , საქართველომ მაინც მოახერხა და დაძლია საფინანსო-ეკონომიკურ სივრცეში არსებული პრობლემები, მათი დახმარებით შეძლო თავისუფალი საგარეო-სავაჭრო პოლიტიკისკენ გეზის აღება. ამის საფუძველზე მოხდა საბაჟო-საიმპორტო ტარიფების გამარტივება, სხვადასხვა სახის გადასახადების შემცირება ან მთლიანად გაუქმებაც, ასევე, ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით გატარდა არა ერთი ღონისძიება და რეფორმები.

დღეს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ და ცენტრალურ სახელმწიფოს, ნამდვილად აქვს ის უპირატესობები, რითაც შეძლებს აქტიურ ჩართვას საერთა-შორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში: ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგო-მარეობა; სოფლის მეურნეობა; კულტურა; ტრადიციები; ისეთი ეკონომიკური მნიშვნელობის პროდუქტების წარმოება, როგორიცაა: ღვინო; სასარგებლო მინერალური წყლები და ა.შ. თუმცა ამ პროცესების განვითარებას ხელს უშლის - ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე სრულფასოვანი დამოუკი-დებლობის არ ქონა, ერთიან სამეურნეო გაერთიანებებში მისი არანებაყოფლობითი და იძულებითი ჩართვა.

ქვეყნის აქტიურ მონაწილეობას საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში აფერხებს მსოფლიო სტანდარტების დონის შესაბამისი პროდუქტის წარმოებასთან დაკავშირებული სირთულეებიც.

საქართველო არის ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის სატრანზიტო ქვეყანა, თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, რომელიც ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და დასავლეთს აკავშირებს ერთმანეთთან. სწორედ ამგვარი ადგილმდებარეობა განაპირობებს ქვეყნის სამართლიან ამბიციებსა და მისწრაფებებს მსოფლიო ბაზარზე კუთვნილი ადგილის მოპოვებისა და დამკვიდრებისაკენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის მსგავს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას დადებით მხარეებთან ერთადად, შეიძლება გააჩნდეს უარყოფითი მხარეებიც და აქედან გამომდინარე, შედეგებიც შეიძლება არ იყოს სახარბიელო. კონკრეტულად კი : ჩნდება გარკვეული დაუცველობის განცდა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს უსაფრთხოებასა და სამომავლოდ განვითარებას.

ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს საექსპორტო პოტენციალთან დაკავშირებული ღონისძიებების სწორად განსაზღვრა და მისი ადეკვატური გამოყენება. ეკონომიკის გაძლიერების წინაპირობა არის სწორედ ძლიერი და სტაბილური ექსპორტი, რომლის გაზრდა-გაფართოებას მთელი რიგი ღირსებები ახასიათებს, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც [გ.ნანუაშვილი,2013,გვ143], სადაც სახელმწიფომ უნდა გამოავლინოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.

ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად მიმართული უნდა იყოს ისეთი სფეროების მხარდაჭერაზე, რომლებშიც გვაქს კონკრეტული უპირატესობები და რითაც წინ ვუსწრეფთ დანარჩენ ქვეყნებს. მაგალითად: ყურძნის, თხილის, თუნდაც ხილის საექსპორტო შესაძლებლობების გაუმჯობესების გზების ძიება, მათი ზრდა და განვითარება.

საქართველო გამოირჩევა საექსპორტო პოტენციალის მრავალფეროვნებითა და უპირატესობებით. აქ შეიძლება გამოვყოთ - მეღვინეობა, რომელიც არის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგი. ჩვენ ქვეყანას გააჩნია ღვინის წარმოების საუკუნოვანი ისტორია და ტრადიციები, მისთვის საჭირო ხელსაყრელი ბუნებრივი-

კლიმატური პირობები, რაც გვანიჭებს საკმაოდ დიდ კონკურენტულ უპირატესობას სხვა განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობის მქონე ქვეყნებთან შედარებით. ქართული ღვინის მთავარი დამახასიათებელი თავისებურა კი არის მისი ხარისხი, რომლითაც ნამდვილად, უნდა ვამაყოფდეთ.

როგორც ვიცით, საქართველო მიჩნეული ღვინის სამშობლოდ, სადაც ხდება უმაღლესი ხარისხის ღვინის წარმოება და რეალიზაცია. ქინძმარაული, საფერავი და ხვანჭკარა - ღვინის ის სახეობებია, რომლებიც საკმაოდ დიდი პოლულარობით სარგებლობენ მსოფლიო ბაზარზე.

ჩვენ ტერიტორიაზე აღმოჩენილია არა ერთი მარანი; უძველესი თიხის ქვევრები; კერამიკული ჭურჭელი, რომლებიც ადასტურებენ საქართველოსა და მევენახეობას შორის ხანგრძლივი ისტორიის არსებობას. ქვეყანაში დამკვიდრებული ვაზის კულტურას, რომელიც მოიცავს ქრისტიანობის გავრცელების პერიოდსაც, არ ჰყავს ანალოგი სხვა ქვეყნებში.

კახეთი არის ყველაზე გამორჩეული რეგიონი მევენახეობა-მეღვინეობის თვალსაზრისით, ღვინის სახეობების უმეტესი ნაწილი, სწორედ ამ რეგიონში იწარმოება, რომელთა დამზადების ტექნოლოგია სრულიად განსხვავებულია, რაც საერთაშორისო ბაზრების დიდ ყურადღებას იპყრობს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული ღვინის უმეტესი ნაწილი მიედინება სწორედ დამოუკიდებელ სახემწიფოთა თანამეგობრობის(დსთ-ს) ქვეყნებზე, ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების დიდი ხუთეულიდან 3 არის სწორედ ამ თანამეგობრობის წევრი, შესაბამისად, ეკონომიკური კუთხით, თითოეული მათგანი არის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი. პირველ რიგში კი, ეს ეხება რუსეთს და მის დიდ ბაზარს, რომელიც შეუცვლელია. თუმცა , არ უნდა დაგვავიწყდეს რუსეთის მიერ, გარკვეულ პერიოდში განხორციელებული პოლიტიკა ქართული ღვინის მიმართ, რომელიც მიზნად ისახავდა ბაზრის ჩაკეტვას, კრძალავდა ჩვენი პროდუქტის შეტანას თავის ტერიოტირაზე. რამაც, რასაკვირველია, უარყოფითად

იმოქმედა ღვინის ექსპორტზე და მნიშვნელოვნად დაწია უკან მისი განვითარების შესაძლებლობები.

რუსეთის ქმედების შედეგად, ღვინის ბიზნესი აღმოჩნდა ძალიან რთულ მდგომარეობაში, რომლის დროსაც სასწრაფოდ მოსაძიებელი იყო სხვა გზები, მოცემულ სფეროში, ექსპორტის გასაზრდელად და მართლაც, ქვეყნის წარმომადგენლების მიერ გატარდა ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები. ამისთვის კი გამოიყო ფინანსური სახსრები ქვეყნის ბიუჯეტიდან. ხოლო, მას შემდეგ, რაც რუსეთის ბაზრის საზღვრები, საქართველოსთვის ისევ ხელმისაწვდომი გახდა, კვლავ დაიბრუნა და უფრო მეტად გაიმყარა ღვინის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის მოწინავე ადგილი. რუსეთის ბაზარი ხასიათდება იმითაც, რომ იმპორტირებული ღვინის რაოდენობა საკმაოდ დიდია მათ ბაზარზე, რომლის სივრცეშიც, ძირითადად დომინირებს დსთ-სა და ევროპის ქვეყნების ღვინოები.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქმედი ყოფილი რესპუბლიკებიდან, ღვინის სფეროში, საქართველოს არანაკლებ კონკურენციას უწევს მოლდავეთი, რომელსაც ყაზახეთის ბაზრის დიდი ნაწილი აქვს ათვისებული.

ყურძნის მოყვანა და წარმოება არის საკმაოდ პერსპექტიული სფერო საქართველოსთვის. აუცილებელი და კარგია აქცენტის გაკეთება ექსპორტზე , თუმცა საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ეროვნული მოთხოვნებიც და ამ კუთხით დასპეციალიზება ქვეყნის საზღვრებშიც.

მსოფლიო ბაზარზე, საექსპორტო ღვინოებიდან - ფრანგული ღვინო არის დომინანტი, რასაც განაპირობებს მისი დამზადების ტექნოლოგია, სადაც ხდება დიატომიტისაგან შექმნილ ფილტრში ღვინის გატარება და მოთავსება. დიატომიტის საბადო კი მხოლოდ ორ ქვეყენაშია და ერთ-ერთი მათგანი არის საქართველო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, ქართველმა ექსპორტიორებმა შექმნეს ისეთი სპეციფიკური სააგენტო, რომელიც ითვალისწინებდა ექსპორტის ხელშეწყობას. ამ შემთხვევაში , გამოიკვლიეს დიდი ბაზრის მქონე ქვეყნები, კონკრეტულად კი გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ღვინის სეგმენტები. მიღებული

შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაასკვნეს, რომ სრულებით დასაშვებია ამ ბაზრებზე საქართველომ დაიმკვიდროს თავისი ადგილი და ნახოს მოგება.

ქვეყნისათვის ღვინის გარდა, მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი არის თხილი, რომელიც არის უძველესი კულტურის განუყოფელი ნაწილი. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე მიჩნეულია მისი ჩამოყალიბების საწყის კერად. თავდაპირველად თხილი იყო ველური ფორმის , შემდეგ კი წარმოიქმნა სხვადასხვა ჯიშები, რომლებიც კარგად ესადაგებოდნენ ამა თუ იმ კლიმატურ პირობებსა და ნიადაგს.

საქართველოს ძირითადად გავრცელებულია თხილის შემდები სახეობა: კახური; იმერული; დათვის; ჩვეულებრივი თხილი და სხვა.

საჭიროა ყურადღების გამახვილება თხილის სამეურნეო ტექნოლოგიებზეც, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მისი ექსპორტის მუდმივ ზრდასა და გაფართოებას. იგი ხასიათდება თავისი ნაყოფის საკმაოდ დიდი ხნის გამნავლობაში შენახვისუნარიანობით და ასევე, შესაძლებელია მისი მოხერხებული ტრანსპორტირება, რაც ამარტივებს დიდი მოცულობით მის გატანას საზღვარგარეთ.

თხილს გააჩნია მაღალი კვებითი ღირებულებები და ის წარმოადგენს ჯანსაღი პროდუქტის სახეობას. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს, კვების მრეწველობაში ამ პროდუქტის ფართო მაშტაბით გამოყენებას.

თხილის შემადგენელი ნაწილების სასარგებლოდ გამოყენება ხდება მედიცინაშიც; მხატვრობაშიც; ფერწერაშიც. მაღალი ტექნოლოგიების შესაბამისი ავეჯის დამზადებისთვის მისი მერქანი აღიარებულია საუკეთესო საშუალებად.

საქართველოდან, სხვა ქვეყნებში , ძირითადად გადის თხილის გული , ხოლო დანარჩენი სახეობა არ იწარმოება დიდი რაოდენობით.შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში დიდია თხილის ხვედრითი წილი, რაც, უდაოდ განაპირობებს მშპ-ს ზრდას.

თხილის წარმოებაში ლიდერობს თურქეთი, რომელიც სარგებლობს უპირატესობით და ხშირ შემთხევაში თავად განსაზღვრავს ხოლმე ამ პროდუქტის

ფასს, მსოფლიო ბაზარზე. ასევე, სხვა თხილის მწარმოებელ ქვეყნების სიაში შედის: საქართველო და აზერბაიჯანიც.

სამეგროლო არის ის რეგიონი, რომელსაც გააჩნია შესაფერისი კლიმატური პირობები და ნიადაგი იმისათვის, რომ აწარმოოს დიდი რაოდენობით თხილი და ამით აღემატებოდეს საქართველოს დანარჩენ კუთხეებს. თუმცა, თხილი მოჰყავთ სხვა რეგიონებშიც, მაგალითად: გურიაში, აჭარაში, იმერეთშიც და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თხილის ექსპორტის კუთხით, ძირითადად ათვისებულია ევროპის ქვეყნები და მათი ბაზრები, რომლებიც ხასიათდება საქართველოსთვის ხელსაყრელი სხვადასხვა მახასიათებლებითა და უპირატესობით.

ბოლო პერიოდში შეინიშნება აღნიშნულ ბაზარზე ზრდის ტენდენციები. იქიდან გამომდინარე, რომ იზრდება წარმოების დანახარჯები, უფრო მოსახერხებელია გამზადებული თხილის შესყიდვა, რაც თხილის პროდუქტზე განაპირობებს მოთხოვნის მკვეთრ ზრდას. ევროკავშირი , რაც უფრო დრო გადის, მით მეტ ყურადღებას უთმობს ჯანსაღ საკვებ პრდოდუქტის წარმოებასა და გარემოს ადეკვატური დაცვის, მისი უსაფრთხოების საკითხებს. ამიტომაც არის შეუფასებელი თანამედროვე მეურნეობაში მისი როლი. ევროკავშირის დღევანდელი აგრარული პოლიტიკა ერთგვარი ეტალონია გაერთიანების არაწევრი ქვეყნებისათვის [თ.ბიძინაშვილი,2014,გვ215], რომლის კარგად გააზრების და მსგავსი მოქმედებების შემთხვევაშიც, ნებისმიერი ქვეყანა შეიქმნის ხელსაყრელ პოზიციებს.

თუ ქვეყანას სურს, რომ დაიმკვიდროს ადგილი ევროპის ბაზარზე, მაშინ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის მოთხოვნები და ძირითათი მიმართულებები, რომლითაც ეს ბაზრები ფუნქციონირებს. რომელიც, რა თქმა უნდა, ეხება საქართველოსაც. ასე, რომ თავისუფლად არის შესაძლებელი თხილის სექტორის კიდევ უფრო მეტად გაფართოება და დიდ ბაზრებზე მისი დამკიდრება.ამის პოტენციალი ნამდვილად გვაგვაჩნია,რისთვისაც საჭიროა მისი სათანადოდ გამოყენა და კარგად დამუშავებული, ხელსაყრელი ნიადაგის პირობებში, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით წარმოება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო,ყოველთვის ცდილობდა ევროკავშირთან დააახლოებას,რამაც შედეგი გამოიღო და გარკვეულწილად მოვახერხეთ მათი ღირებულებების გაცნობიერება და გათავისება.

ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2006 წელს საქართველოს გამოუცხადა ცალმხრივი სავაჭრო ემბარგო[რ. ჯავახიშვილი,2015,გვ30].

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელსაც მივაღწიეთ ევროკავშირთან, გვაძლევს უნიკალურ შესაძლელობას, რომ უკეთ გავიცნოთ ევროპის ქვეყნის ბაზრები და შევძლოთ ფუნქციონირება მათ სეგმენტებზე. რის შედეგადაც, შეიქმნება ხელსაყრელი პირობები რეალური შემოსავლის მისაღებად.

მინერალური წყლები არის ის ეკონომიკური მნიშვნელობის პროდუქტი, რომლითაც გამოვირჩევით მთელ მსოფლიოში, ამ სფეროში ვსარგებლობთ ბუნებრივი უპირატესობებით, მაგალითად: ,,ბორჯომი'' ხასიათდება საუკეთესო თვისებებით და უდაოდ გააჩნია კონკურენტული უპირატესობები მსგავს პროდუქტებთან მიმართებაში. ვფლობთ მიწისქვეშა რესურსების უხვ რაოდენობასაც, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ხარისხით.

ღვინის, თხილისა და მინერალური წყლების სფეროების გარდა, არსებობს სხვა სექტორებიც, სადაც საქართველოს შეუძლია , საექსპორტო მიმართულებით, წარმატების მიღწევა.მაგალითად: ციტრუსები, უკვე კარგა ხანია ითვლება ექსპორტის შედეგად მიღებულ შემოსავლის მნიშვნელოვან საშუალებად. ამ სფეროს გაფართოებაც იქნება შესაძლებელი, რისთვისაც უნდა მოხდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

ჩაის დარგი , რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მწარმოებელი ქვეყანა ყავს, მაინც ხასიათდება სტაბილური წარმოებითა და სხვა ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებით. თუ სათანადოდ მოხდება ამ დარგის წახალისები, ეს გამოიწვევს სულ უფრო მეტი ბაზრების ათვისებას.

ჩვენი ქვეყანა ხასიათდება ნედლეულის ექსპორტითაც და სხვა განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სფეროში ზრდის ტენდენციებმა შექმნა გარკვეული სირთულეები საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულებით. რაც გამოწვეული არასწორი საბაჟო-სატარიფო პოლიტიკით.

თანამედროვე სამყარო და სწრაფი ტემპით მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი საჭიროებს, რომ ქვეყნებმა გამუდმებით იზრუნონ საკუთარი კუნკურენტული უპირატესობის ზრდაზე. აჩვენონ მსოფლიოს, თუ რომელი პროდუქციის წარმოება შეუძლიათ სხვებზე უკეთ. მნიშვნელოვანია არა მარტო კონკურენტული უპირატესობის მიღწევა საერთაშორისო ბაზარზე, არამედ მისი შენარჩუნებაც, შემდეგ კი მის გაზრდაზე ფიქრი. ამ კუთხით, საქართველოს აქვს იმის უნარი და შესაძლებლობები, რომ გაზარდოს თავისი უპირატესობები სხვადასხვა სახის საქონელზე, რითაც ჯობნის დანარჩენებს. ამისათვის აუცილებელია სწორად იქნეს გაანალიზებული ქვეყნის ეკონომიკური უპირატესობები, რის საფუძველზეც შეირჩევა ხელსაყრელი სეგმენტები, მოხდება შესაბამისი პოზიციონირება, უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდება ანუ გაიზრდება პროდუქტის მიწოდება დიდ ბაზრებზე და შესაბამისად, შემოსავალიც.

რაც შეეხება უცხოურ ინვესტიციებსა და მათ შემოდინებას საქართველოში - აღნიშნულ სფეროში არსებობს გარკვეული სახის პრობლემები, რომელთა შორის, ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი არის ქვეყნის შიგნით არსებული არასტაბილური ეკონომიკური გარემო. არ არის სათანადოდ ორგანიზებული და მოწესრიგებული საინვესტიციო სივრცე, რამაც უნდა უზრუნველყოს საზღვარგარეთული კაპიტალის შემოდინება. მასზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის ფულადი ნაკადებით უზრუნველყოფა[მ.სხირტლაძე,2014,გვ82]. ამ პრობლემების გადაჭრის შემთხვევაში კი გაიზრდება უცხოური ინვესტიციების მოცულობა და ეს დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე.

საქართველომ, ბოლო პერიოდში, ნამდვილად, შეძლო ახალი ბაზრების მოძიება და თავისი პოზიციების განმტკიცება საერთაშორისო ბაზარზე, თუმცა, ეს არ არის

საკმარისი, აუცილებელია საექსპორტო პოტენციალის უფრო სრულყოფილად გამოვლენა და გაფართოება.

რთული პოლიტიკური მდგომარეობა რომ არა რუსეთსა და საქართველოს შორის, კიდევ უფრო ღრმა ურთიეროთებები გვექნებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან, მეტად შევძლებდით მათი ბაზრების დაკავებას , ეროვნული ეკონომიკა კი მიაღწევდა სტაბილურ დონეს.

მაშასადამე, ნებისმიერ სახელმწიფოსთან, ეკონომიკურ გაერთიანებებთან, მათ შორის დსთ-ს ქვეყნებთან, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მიმართულებებსა და პერსპექტივებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება, შესაბამისად საზღვრების გახნსა და რაც შეიძლება მეტ მსოფლიო დონის კავშირებში ინტეგრაცია. თუმცა, ეს ყველაფერი სწორედ და სათანადოდ უნდა დაიგეგმოს, რადგან მას შეიძლება თან სდევდეს უარყოფითი შედეგებიც. მაგალითად: არასტაბილური ეკონომიკური სისტემის ფონზე, როდესაც კონკრეტული საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტი არ არის სრულყოფილად განსაზღვრული, რომელიც უცხოური ფინანსური ნაკადების შემოსვლის მთავარი წყაროდ არის მიჩნეული, საგარეო ვაჭრობის თავისუფლებამ, სავსებით შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ადგილობრივი პროდუქტის წარმოებას და შესაბამისად მეწარმეებს,რომელთა განვითარების პერსპექტივა გახდება საეჭვო, ამ ყველაფრით კი ზიანი მიადგება ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

დასკვნა

თანამედროვე პერიოდში, საგარეო-ეკონომიკურმა ურიერთობებმა შეიძინეს არსებითი მნიშვნელობა, რომელთა გარეშეც, ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა სახელმწიფოების მდგრადი განვითარება.

აუცილებელია ეკონომიკური ლიბერალიზაციის შესაბამისი პოლიტიკის გატარება, მასზე სწორი და უკეთესი არჩევანი არც არსებობს, თუმცა, მხოლოდ ის არ არის საკმარისი, მარტო ლიბერალიზაცია, ვერ განაპირობებს ისეთი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს.

საქართველოს არჩეული აქვს თავისუფალი, ლიბელარული მიმართულება, რითაც შეუძლია საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება სხვადასხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი, ეს ეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომლებთანაც ორმხრივი ურთიერთობები იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვენი პროდუქცია გავიდეს საზღვრებს გარეთ და დაიმკვიდროს ადგილი მათ ბაზრებზე, ბუნებრივია, ეს გამოიწვევს უფრო მეტი სასაქონლო ჯგუფის წარმოების აუცილებლობას, გაიზრდება ასორტიმენტი. ყველასათვის გახდება ხელმისაწვდობი როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთული რესურსების ფართო ნუსხა. ასევე, მოხდება მათი ბაზრების კონკრეტული სეგმენტების ათვისება.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყანა არ გამოირჩევა მაღალი შემოსავლების დონით, უპირატესობა ენიჭება მეზობელ სახელმწიფოებთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და სულ უფრო მეტად გაღრმავებას. ახლოს მდებარე საზღვრები, ტრანსპორტის საშუალებით, ერთმანეთთან მიმოსვლის მნიშვნელოვანი ეკონომია, ამის კვალობაზე კი შედარებით მცირე ხარჯები დაზღვევისათვის, ეს ყველაფერი იძლევა იმის საშუალებას, რომ მსგავს ქვეყნებთან დავამყაროთ ჰარმონიული ურთიერთობები. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, მსოფლიო ორგანიზაციების როლი თითოეული ქვეყნის და მათ შორის, საქართველოს განვითარებაში, რაც უფრო მეტ გაერთიანებაში მივიღებთ მონაწილეობას, მით უფრო

მეტად გავზრდით ეკონომიკას და უსაფრთხოების თვალსაზრისითაც, უფრო მშვიდად ვიგრძნობთ თავს.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი ქვეყანა, გამუდმებით ცდილობს სწრაფი ტემპით მოძრავ გლობალიზაციის პროცესებთან დაახლოებას და დღითიდღე, უფრო მეტ ქვეყანასთან ამყარებს ეკონომიკურ კავშირებს, რითაც ეროვნულ ეკონომიკას უქმნის განვითარებისათვის აუცილებელ პირობებს.

ისტორიული, ხელსაყრელი მდებარეობა, რომლითაც გამოვირჩევით დანარჩენი სახელმწიფოებისაგან, გვაძლებს იმის შესაძლობლებს, რომ მიუხედავად მცირე ეკონომიკისა, მაინც ღრმად ჩავერთოთ საერთაშორისო ინტეგრაციულ სფეროებში და სწორედ ამის საფუძველზე ვუზრუნველყოთ ეკონომიკის განვითარება. აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების გათვალისწინებითა და განხორციელებით: ისეთი ეკონომიკური მოდელის შერჩევა და დამკვიდრება, რომელიც მოერგება ქვეყნის ინტერესებს და გაამყარებს მის პოზიციებს საერთაშორისო ბაზრებზე; ყურადღების გამახვილება ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მუდმივ განვითარებაზე; ზუსტი განსაზღვრა იმ საექსპორტო პოტენციალისა, რომელსც რეალურად ფლობს ქვეყანა და ისეთი საექსპორტო პოლიტიკის შემუშავება, რითაც მოხდება წახალისება და ამის შედეგად, წინ წაწევა მოცემულ სფეროში. თუმცა, აქ არ უნდა დაგვავიწყდეს უარყოფითი შედეგებიც, რომელიც შეიძლება ძალიან გამარტივებულმა, თავისუფლმა სავაჭრო რეჟიმმა გამოიწვიოს. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა მის რეგულირებაში, რათა არ დაზიანდეს ეროვნული წარმოება.

საქართველოს ურთიერთობებს, დანარჩენ ქვეყნებთან, ძირითადად განსაზღვრავს ესქპორტ-იმპორტის მოცულობები და მათი წილი ეროვნულ ეკონომიკაში. ამ კუთხით გამოირჩევა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამე-გობრობის (დსთ-ს) სახელმწიფოები, რომლებთანაც გვაკავშირებს საუკუნოვანი ისტორია და ურთიერთობები. სწორედ ამ გაერთიანების ზოგიერთი მონაწილე

ქვეყნები შედიან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორების რიცხვში. განსაკუთრებით, ეს ეხება რუსეთს და მის უზარმაზარ ბაზარს, რომელთანაც სავაჭრო კავშირების გარეშე, ძალიან გაგვიჭირდება ჩვენი ეკონომიკისათვის ხელსაყრელი ნიადაგის მომზადება და აქედან გამომდიანარე, შემოსავლის მიღებაც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულში, ექსპორტის კუთხით, დსთ-ს 4 ქვეყანა შედის. რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ეს ქვეყნები არის ჩვენი ექსპორტის ძირითადი მიმართულებები დსთ-ს სივრცეში. ამ პერიოდისათვის შეინიშნება შემდეგი სახის ტენდენცია: სხვა ქვეყნებშიც იზრდება და ზრდის ტემპი მაღალია ექსპორტის მოცულობის, მაგრამ განსაკუთრებით დომინირებს მოცემული ქვეყნები.

სერიოზული ძვრები გაჩნდა საქართველოს საექსპორტო დარგში მაშინ, როცა რუსეთმა აკრძალა მათ ბაზარზე ქართული პროდუქციის შეტანა. რადგან უმეტესი ნაწილი, მინერალური წყლებისა და ღვინის ნაწარმის, სწორედ აღნიშნულ ბაზარზე გადის. მართალია, შემდეგ კვლავ მოგვეცა საშუალება, რომ აგვეთვისებინა მათი ბაზარი და კვლავ შეგვეტანა პროდუქცია, მაგრამ იმავე ზრდის მაჩვენებლებს, რაც გვქონდა ექსპორტის სივრცეში რუსეთის ქმედებამდე, ვეღარ მივაღწიეთ. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს რუსეთის გარდა, უკრაინასთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები, რომლებიც დიდად უწყობენ ხელს ჩვენი ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას.

საჭიროა, სათანადოდ განისაზღვროს და გამოვლინდეს ის ძირითადი მიმართულებები, რომელსაც საქართველო ეყრდნობა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დროს, რადგან ქვეყნის მთავარმა წარმომადგენლებმა შეძლონ მისი გათვალისწინებით, ახლებული, კარგად ორგანიზებული საგარეო-პოლიტიკის ჩამოყალიბება და ამის საფუძველზე, გლობალურ ეკონომიკურ სფეროში, ჩვენი ქვეყნის სამართლიანი მონაწილეობა.

საბოლოო ჯამში, საქართველოს, ნამდვილად გააჩნია იმის სახსრები, რომ უფრო მეტად გააღრმავოს დსთ-ს ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობები და ამით ეკონომიკას მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი. თუმცა, არსებობს ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც აფერხებენ მსგავსი მისწრაფებების მიღწევას, მთავარი შემაფერხებელი კი არის რუსეთი და ამ სახელმწიფოსთან არსებული რთული პოლიტიკური მდგომარეობა, რომლის არ არსებობის შემთხვევაშიც, საგარეო ვაჭრობის მოცულობა, თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან, გაცილებით მეტი იქნებოდა.

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა

1. აბრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბილისი, 2014
2. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2006
3. აბაშიძე ზ. ნატო და საქართველო,უტოპიიდან რეალობისკენ,თბილისი, 2000
4. ბლიაძე მ. ბიზნესი და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი, 2017
5. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა, თბილისი, 2007
6. ბიძინაშვილი თ. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესების გზები, ჟურნალი: ბიზნეს-ინჟინერინგი, #1, თბილისი, 2014
7. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ. საგადასახადო საქმე, თბილისი, 2007
8. ბაბუნაშვილი გ. საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2000
9. გურგენიძე ვ. პ. წერეთელი ნ. დ. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების მართვასა და მოწესრიგებაში, თბილისი, 2012
10. დავარიშვილი გ. საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი, თბილისი, 1991
11. ეთერია ე., თორია მ. საერთაშორისო ეკონომიკა, ნაწილი 1, თბილისი, 2006
12. კბილაძე დ., მეტრეველი შ. სტატისტიკა, თბილისი 2017
13. კიწმარაშვილი ბ., სომხიაშვილი ა. საქართველოსა და უკრაინის სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებები და გამოწვევები, მეცნიერება და ცხოვრება, #1 (11), თბილისი, 2015
14. ლობჟანიძე ვ. საერთაშორისო ბიზნესის მართვა და რეგულირება, თბილისი, 2011
15. მარშანია ზ. საერთაშორისო ორგანიზაციები, თბილისი, 2012

16. მშვილდაძე გ. წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის შესახებ, თბილისი, 1971
17. მესხია ი. საერთაშორისო ვაჭრობა, თბილისი, 2011
18. ნანუაშვილი გ., ლაგვილავა თ. საქართველოს პერსპექტივა საერთაშორისო ვაჭრობაში, ჟურნალი: ბიზნეს-ინჟინერინგი, #4, თბილისი, 2013
19. ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე დ., ვადაჭკორია მ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი, 2009
20. სხირტლაძე მ. უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკაში-მნიშვნელობა, პრობლემები, პერსპექტივები, ჟურნალი: ბიზნეს-ინჟინერინგი,# 2, თბილისი, 2014
21. ტაბატაძე ლ. ბიზნესის კვლევის მეთოდები, თბილისი, 2017
22. ფუტკარაძე რ. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში, საქართველოს გლობალიზაციისა რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები, შრომის კრებული, თბილისი, 2008
23. ქათამაძე დ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ბათუმი, 2008
24. ყიზილაშვილი შ., ყიზილაშვილი კ. ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2009
25. ძებისაური ლ. საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, თბილისი, 2012
26. ხარაზი ი. საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2017
27. ჯავახიშვილი რ. ევროინტეგრაციის მოთხოვნები და საქართველოს გამოწვევები ვაჭრობის სფეროში, მეცნიერება და ცხოვრება,#1(11), თბილისი, 2015
28. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, 2015
29. მსოფლიო ეკონომიკა, შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2003

30. საერთაშორისო ბიზნესი, გარესამყარო და ოპერაციები, თ. შენგელიას რედაქციით, 2016
31. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2000
32. Афонцов С. Зкономическая политика и модели зкономического развития. Ж. МЭ и МО. 2002, #4
33. Линдси Б. Повторение пройденного, пер. С английског, м., 2006
34. Development and Globalization: Facts and Figures. United Nations Conference on Trade and Development. United Nations. New York and Geneva, 2008
35. World Development indicators. World Bank, 2002
36. Krugman P., Obstfeld M. International Economics: Theory and Policy, 2008
37. Peter H. Lindert, International Economics, 2008
38. Shott J.J., The WTO after Seattle, Washington D.C., printed by Kirby Lithographic Company, institute for international Economics, 2000
39. Hill,Charles W.L. International Business, 2011
40. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
41. http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=20